საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 11 მ ა რ ტ ი 14 1899 წ. № 11

შინაარსი: ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი და ინტელიგენტთა პარტიები გ. წერეთლისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—„კვალის“ კორესპონდენციები.—კვირიდან კვირამდე.—*** ლექსი ი. ევდოშვილისა.—შენიშვნა ნ. ყორდანიასი.—ბიბლიოგრაფია გი-გისა.—პირიმზე, რომანი (შემდეგი) გ. წერეთლისა.—წერილი რედაქციის მიმართ.—საქველ-მოქმედო საქმე.—კვალის ფოსტა და განცხადება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი და ინტელლიგენტთა პარტიები.

I.

ეს მეცხრე წელიწადია მას აქეთ, რაც ქუთაისის ბანკის არჩევნებში არსებობს საოცარი განხეთქილება ორ ქუთაისის ინტელიგენტთა ჯგუფს შორის, რომელნიც დაეტაკენ ერთმანეთს და აქვთ გამწვავებული ბრძოლა, უკიდურესამდე მიღწეული. ეს ბრძოლა, რამდენათაც იგი გამოცხადდა ჟურნალ-გაზეთებში, შეიცავს ორი პარტიის ინტერესთა დატაკებას ერთმანეთის წინააღმდეგ, მაგრამ სამწუხაროთ ეს თვით ინტერესთა ვითარება ფარდას ქვეშ არის ამოფარებული და ბრძოლას კი მარტო ურიგო პროვინული ხასიათი აქვს. ამისგამო საზოგადოებას აქამდის ვერ შეუტყვია, რაშია საქმე? არ ყოფილა არავითარი ბოროტმოქმედება, არაგვარი ზნეობრივი მწიკვლი, რომ ერთი მეორესთვის არ დაებრალებინოსთ და არ მოეცხოსთ, მხოლოთ იმ განსხვავებით კი, რომ დამარცხებულები უფრო ფიცხათ ჯ მოურიდებლათ ახვევენ თავზე გამარჯვებულ მოწინააღმდეგეებს ჟურნალ-გაზეთებში ყველანაირ უზნეობას და ბოროტმოქმედებას. მაგრამ თუ მართლა გამარჯვებულები ამდენი ცუდი საქმეების ჩამდენი იყოს, ხოლო მათი მხილებელნი გონება ზნეობით და სპეტაკი მოქმედებით ამაღლებულნი, ნუ თუ მართლა საზოგადოებას ამდენი წერით და ქადაგებით ვერ ჩააგონეს მათი სიავერაგე, ბოროტმოქმედება, ნუ თუ საზოგადოებამ ბოროტმოქმედებს აქამდის ზურგი არ შეაქცია? ნუ თუ ბოლოს იმათმა პირადმა ანგარიშების მოყვარეობამ საზოგადოებას თვალი არ აუხილა და არ დააჯერა, რომ ისინი არიან მისი დამქცევნი და ამოქმედებნი, ნუ თუ საზოგადოებამ თავიანთ ულირსთა წევრთა გამარჯვების ბაირაღი ხელიდან არ გამოთხლიშა და არ მიაჩემა უფრო პატიოსან ქველისმოქმედთა ინტელიგენციას, რომლის მედგარმა ბრძოლამ ბოლოს მთავროების ყურადღებაც კი მიიქცია და წესიერების დასამკვიდრებლათ თვით ბანკის წესდება ძირიანათ შეაცვლევინა, ამორჩევითი უფლება შეავიწროებინა, თვით ბანკი დამფუძნებლებისთვის წაართმევინა და მსესხებლებისათვის გადააცემინა. ამ შემთხვევაში მართლაც დამახასიათებელი შეიქნა ამ ინტელიგენტთა ჯგუფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმომადგენლის მოსე ქიქოძის სიტყვა პირველი რიგის ამომრჩეველებისადმი მიმართული მარტის 21-ს.

„მოგილოცავთ ბანკის ახალი წესდების მონიჭებას მთავრობის მიერ, რომლითაც, მართალია, თუმცა ამორჩევითი უფლება შეგიეიწროდათ, მაგრამ, იმედია, ამ წესდებით თქვენ ამოარჩევთ უფრო შეგნებულ ამომრჩეველებს, რომელნიც უფრო წესიერათ და გონიერათ აწარმოებენ ბანკის საქმეებს, უფრო ღირსეულ პირებს დაადგენენ ბანკის გამგეობაში და აწ მოგელისთ თქვენ უმჯობესი ბანკის გამგეობა და მისი წარმოების განვითარებაო“.

თუ რამდენათ თანაგრძნობით მიიღეს ამომრჩეველებმა ეს მისი სიტყვა, იქიდან ჩანს, რომ თვით ის კინაღამ გააშაევეს. სულ ორი ხმის უმეტესობით გავიდა. მკითხველებმა უკვე იციან, რომ ქუთაისის სამივე რიგის ამომრჩეველებმა უწყალოთ გააშაევეს ოპოზიციის ჯგუფი და ბურთი და მოედანი მაინც მეორე ჯგუფის ინტელიგენტებს დარჩათ. ოპოზიცია ვერ იხსნა დამარცხებისაგან ვერც ბანკის ახალმა წესდებამ, რომელზედაც ის ამყარებდა თავის სასოებას. რა არის ამის მიზეზი, რაში მდგომარეობს დედა აზრი ამ გამარჯვებისა? რათ იგებს ყოველთვის ბრძოლას ის ინტელლიგენტთა ჯგუფი, რომლის წარმომადგენლები ყოველთვის ასე ყბად აღებულნი და გალანძღულნი არიან ხოლმე ჟურნალ-გაზეთებში ოპოზიციის მწერლებისაგან? აი, კითხვა, რომელიც უნდა იყოს კარგათ გამორკვეული და შეგნებული, რომ მკითხველმა საზოგადოებამ ბოლოს მაინც ნათლათ დაინახოს, რაშია საქმე, შეიტყოს ახლანდელი ცხოვრების მოთხოვნილება და მისი ნამდვილი მაჯის ცემა. დროა გამოერკვეს ბურანისაგან საზოგადოება, რომ მათში აღარ ტრიალებდეს შემცდარი აზრი ჩვენი ცხოვრების ვითარებაზე, ატეხილ კლასთა ბრძოლაზე, მათი ინტერესების შეტაკებაზე, რომელიც არის მიზეზი ყოველი ახლანდელი საზოგადობრივი მოვლენისა, სხვა არაფერი. რაც უნდა ბევრი წეროს ოპოზიციამ გაზეთებში გამარჯვებული პარტიის უზნეო მოქმედებაზე, მაინც არა გამოვარა, ვერც არას სხვას გააგებინებს და ვერც თვითონ აიხსნის ნათლათ ამ მოვლენას, რადგან იმას, ჩემი აზრით, აქამდის არა აქვს შეგნებული ახლანდელი ცხოვრების მოთხოვნილება და ინტერესები იმ კლასისა, რომელსაც ის ალოლოს აუღებლათ ებრძვის. ის აქამდის იმყოფება სრულ სიბნელეში და, მოგეხსენებათ, ბნელში მოსიარულე კაცი გზას ვერ გაიგნებს, რაც უნდა დიდი განათლებით და დიდი გონიერებით იყოს აღჭურვილი, თუ იმას წინ ფარანი არ მიაქვს.

საქმე იმაშია, რომ ჩვენ ცხოვრებაში უკვე საკმაოთ აღორძინდა ახალი კლასი, რომელსაც ოპოზიცია აქამდის კიდევ უარს ჰყოფს. აი, ამაშია მისი უნიადაგობა, მისი მიუხვედრელობა. დღეს ეს კლასი იმდენათ გაძლიერდა, რომ იგი ყოველ საზოგადო საქმეებში, საცა მას ხმა ეძლევა, თავის ინტერესების დასაცველათ, იწყებს ხოლმე მედგარ ბრძოლას და ვინც მას ამაში წინ ეღობება, უწყალოთ მუსრავს და თვით ბატონდება. აი, ეს ვერ შეუგნია ჩვენ ქუთაისელ ოპოზიციას და ამაში მდგომარეობს მისი გზაკვალის არევა, მისი სისუსტე. დიდი უმეცრება და მეცნიერების წინააღმდეგია ის აზრი, ის დარწმუნება, ვითომც ერთ კაცს, რაც უნდა დიდი ნიჭის პატრონი და გონებით ძლიერი იყოს, შეეძლოს მთელი საზოგადოების, მთელი ერის, ცხვრების ფარასავით, აქეთ იქით მირეკ-მორეკა, ან ვითომც თავის ფრაკის კუდზე შეეძლოს იგი გამოიბას და ნებისამებრ ატაროს.

ყოველი კაცი და განსაკუთრებით ის, ვინც გარემოების ძალით საზოგადოების მეთაურათ გამხდარა, ყველაზე პირველათ შვილია თავის ერის და საზოგადოებისა, მის მკერდზეა მისივე ძუძუთი გაზდილი. იმას შესისხლ-ხორცებული უნდა ჰქონდეს ამ საზოგადოების გულის წადილები, ამ საზოგადოების, ანუ კლასის, ინტერესები. ის მაშინ ხდება ბ მხოლოთ მაშინ მისი დროშის მატარებელი, როდესაც თავის საზოგადოების, ანუ რომელიმე კლასის გულისწადილს, მის ინტერესებს სრულათ შეიგნებს და ამ ინტერესების გულისთვის დაიწყებს ბრძოლას, მას მიემხრობა, მას ექომაგება. ასე ყოფილა ყოველ დროს, ასეა მთელ განათლებულ ქვეყნებში, ასეა ჩვენშიაც. ყოველი საზოგადო მოღვაწე მხოლოთ მაშინ მოიმკის საზოგადოების სიმპატიას და მაშინ შეიკრებს გავლენის ძალას, როცა ის ჰხდება ნამდვილი გამომეტყველი და წარმომადგენელი საზოგადოების, ანუ რომელიმე კლასსის ინტერესისა. დავიხსომოთ ეს და ამ შენიშვნებით განვიხილოთ ჩვენი წარსული საზოგადობრივი განვითარება.

1876 წელს, როდესაც ჩვენი ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკი დაარსდა, ის იყო მართლაც ნამდვილი თავად-აზნაურობის ინტერესების წარმომადგენელი ბანკი. მის სათავეში იდგენ ამ თავად-აზნაურობის საშოდან გამოსული ინტელლიგენტები, რომელნიც მტკიცეთ იცავდენ მის ინტერესებს, ჰქონდათ კარგათ შეგნებული მისი ხელმძღვანელი დედა-აზრი და ამიტომაც იყვენ სრული გავლენის მექონენი. მათი სიტყვა თავად-აზნაურობის საზოგადოებას უტყუარ საბუთათ მიაჩნდა, რომ მისი სარგებლობა ბანკის ოპერაციებში დაცული იქნებოდა და ამიტომაც ჟურნალ-გაზეთებში მათი მოქმედების მოკრიტიკე პუბლიცისტებს მათზე არ ახარებდენ. ყოველ საზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადო კენჭის ყრის დროს ის მეთაურები იმარჯვებდენ. ასეთი გავლენის მექონენი იყვენ ბაშინდელი თავად-აზნაურობის ბანკის მმართველები – ღოლობერიძეები და დადიან-ერისთაველები. იმ დროს ჩვენი ქალაქების მსესხებლებს—ვაჭრებს, აგრეთვე სოფლის წვრილ ადგილ მამულის მეპატრონე თავად-აზნაურობას და მრეწველ გლეხობას არ ჰქონდათ ჯერ კიდევ ისეთი ძალა. თვით მრეწველობაც ჯერ კიდევ არა იყო ისეთ ალორძინებული დასავლეთის საქართველოში მესამოცდა-ათე წლების მიწურულში. მხოლოთ ეს კი იყო, რომ ჩიხალოვის საადგილ მამულო ბანკის წესდებით ყოველ მსესხებელს კენჭის უფლება ეძლეოდა ბანკის ამორჩევაში და ნება ჰქონდა მას დიდ ადგილ მამულის და წარჩინებული გვარის მებატონეს გვერდ-ით ამოჯდომოდა ბანკის კრებაზე და მასთან ერთათ ერთ საარჩევანო ყუთში ჩაეგდო ამოსარჩევი კანდიდატისთვის თეთრი, თუ შავი. ბანკის წესდებისთვის სულ ერთი იყო, მსესხებელი რა წოდებისაც უნდა ყოფილიყო: გლეხი, მოქალაქე, ურია, გინდ სომეხი. მაგრამ დიდებული გვარის თავად აზნაურობისთვის კი სულ ერთი არ იყო ეს გარემოება. იმას ეთაკილებოდა ვილაც უცნობ და უკვარო კაცთან ერთათ სხდომა ბანკის კრებებში და პრაქტიკულათ ძალიანაც ეწინააღმდეგებოდა ასეთ ახალ წესწყობილებას. ამ დროების დასახასიათებლათ საკმაოა ერთი მაგალითის მოყვანა. 1879 წლის ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის კრებაზე წარჩინებული გვარის მებატონეებს შორის ჩაჯდა კრებაში, როგორც მსესხებელი მეკენჭე, ერთი ქუთაისის მოქალაქე ებრაელთაგანი. შენიშნა თუ არა ეს თ. პ. დ—ნმა, რიხით წამოიძახა: ეგ, ურია, ვინ არის, მანდ რომ დამჯდარაო, როგორ გაბედა მაგან ჩვენ თავადაზნაურთა კრებაში მოსვლა და კენჭის ჩაგდება?... განაძევეთ ახლავეო. საწყალი ებრაელი კუდამოძუებული გამოვიდა სხდომიდან. ეს ის დრო იყო, როცა ახალი კლასი ბანკის მეკენჭეთა იბადებოდა; მაგრამ მას ჯერ კიდევ ძალა არ ჰქონდა ბრძოლისთვის.

როგორც ვიცით 1878 და 1879 წლებიდან იმერეთის ხალხს დაუდგა ახალი ხანა ვაჭრობა-მრეწველობისა. აღმოსავლეთის რომმა იმერეთს შეძინა მთელი ბათუმის მაზრა პორტო-ფრანკოთი. ევროპის სახელმწიფოებმა ომიანობას შემდეგ გამართეს ცხოველი სავაჭრო მიმოსვლა შავი-ზღვით და ბათუმის პორტო-ფრანკის ძეხებით. დაარსდენ აქ რუსეთის სავაჭრო საზოგადოებათა გარდა უცხო ქვეყნის საზღვაო საგენტოები: ლლოიდისა, პაკეტისი, ინგლისისა, მესსაჟერ მარიტიმისა და სხვ.

დაიწყეს კეთება სამტრედია-ბათუმის რკინის გზის შტოსი, ნოვოროსსიის რკინის გზისა და ბაქოს რკინის გზისა. ამ რკინის გზების გაყვანას თან მოჰყვა ბათუმში დიდი ნავთის ქარხნების გაშენება და დატრიალდა ამ ქალაქში როტშილდის მილიონები; არა ნაკლებ დიდ წარმოებას აარსებდენ სხვა რუსეთ ს ფირმებიც. ამავე დროს აყვავდა შირაპნის მაზრაში ქვა-გუნდის (მარგანეცის) წარმოება. ევროპის და რუსის სავაჭრო საზოგადოებებმა იწყეს დიდ ძალი ხე-ტყის და სიმიდის გატანა დასავლეთ საქართველოდან. ამ გარემოებამ გამოიწვია ერთი ნაწილი იმერეთის ხალხისა, ის, რომელსაც ცხოვრების ბრძოლაში გაჭირვებამ ხელი გამოაღებინა და გამოიყვანა აღებ-მიცემობის და მრეწველობის ასპარეზზე. შავი ზღვის კიდეებზე ბათუმის ქალაქიდან მოკიდებული ნოვოროსსიისკამდე გამოეფინა დასავლეთ-ს საქართველოს მშრომელი, მაგრამ უადგილ-მამულო, ანუ მცირე მამულის მეპატრონეთა ნაწილი ერისა ფულის საშოვნელათ. თქვენ აქ შეხვდებოდით მოშეტებულ ნაწილს დაბალი წოდების ხალხისას, რომელნიც თვალ-გაფაციცებით ეძებდენ სამუშაოს და ეტანებოდენ ყოველნაირ საალებ-მიცემო საქმეებს; მაგრამ ამათ-შორის იყო აგრეთვე ბევრი აზნაურთაგანი და, ასე გაშინჯე, ზოგი ხელმოკლე თავადთაგანიც – მეგრელები, გურულები, იმერლები, ჩვენებური ურია, სომეხ და სხვა რჯულიც. ამათ ყველას აერთებდა ერთი განზრახვა — ფულის შოვნა, გამდიდრება და ასეთი მიზნის მისაღწევათ ყველანი უახლოვდებოდენ ერთმანეთს. ისინი გამოსულ იყვენ გაევროპელების გზაზე ძველი პატრიარხალური კარჩაკეტილობიდან; მათშორის აღარ იყო ძველი წოდებრივი, რაინდულ-ფეოდალური უმცროს-უფროსობა და ერთი მეორის უკადრისობა. ვაჭრობა და მრეწველობა ამ სხვა-და-სხვა გვარის, წოდების და შთამომავლობის ხალხს თქვეფდა ერთმანეთში, ათანასწორებდა მათ და აკეთებდა იმათგან ახალ კლასს ვაჭარ-მრეწველობისას. რომელიც იყრიდა თავს სააღებ-მიცემო ცენტრებში, ესე იგი ქალაქებში, და ნელ-ნელა იქ ბატონდებოდა. ამ სახით დასავლეთის საქართველოს ვაჭარ-მრეწველთა კლასმა არამც თუ გაავსო იქაური ქალაქები: ქუთაისი, ბათომი, ფოთი, სოხუმი, ოზურგეთი, ხონი, სამტრედია, ზესტაფონი, არამედ თვით თფილისის ქალაქშიაც თვალსაჩინო გახდა; იმან იქაც მაგრათ ჩაჭიდა ხელი წვრილ ვაჭრობა-მრეწველობას.

ამ გვარათ ყოველ დასავლეთის სააღებ-მიცემო ცენტრში ნელ-ნელა აღორძინდა ვაჭრობის კლასი, მას თან მიჰყვა თავისუფალი გლეხობა, მცირე ადგილ-მამულიანი აზნაურობა და ზოგიერთი თავადიშვილებთაგანიც, რომელნიც შეუდგენ სამეურნეო და სამთო-სამადნო მრეწველობას.

რაკი თავისუფალი შრომა გაბატონდა, მას შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ იწყო ნელ-ნელა განვითარება ფულმაც—კაპიტალმაც, მაშასადამე გაბატონდა თვით ფულის პატრონიც. ფულის წინაშე ყოველივე ფეოდალურ-რაინდული უპირატესობა მოისპო, ყველა წოდების და გვარის კაცები გაითქვიფენ ერთმანეთში, გათანასწორდენ, გაერთიანდენ და შეადგინეს ერთი საშუალო კლასი ფულის მაძიებელთა. ასე, ამ რიგათ დასავლეთის საქართველოს ერის ერთმა ნაწილმა ევროპის აღებ-მიცემობის გავლენას ქვეშ გამოიცვალა კანი, გამოვიდა ძველი პატრიარხალური კარჩაკეტილობის წეს-წყობილებიდან და დაადგა ახალ საერთო განვითარების გზას.

როგორ შეხვდა ამ გარემოებას ჩვენი ქუთაისის მეოთხმოცე წლების ინტელლიგენტთა ოპოზიცია? დაუახლოვდა თუ არა ის ამ ახალ აყვავებულ კლასს ხალხისას, მიხვდა თუ არა მის წადილს, შეიგნო თუ არა ზედმიწევნით მისი ინტერესები, დაიცვა თუ არა იგი წინააღმდეგ ფეოდალებისა, წაადგმევინა თუ არა მას ერთი ნაბიჯი კიდევ წინ ამ გაევროპიელების გზაზე, აი, კითხვები, რომლებზედაც ჩვენ შეძლებისამებრ პასუხი უნდა ვუგოთ, რომ ზედმიწევნით შეეიგნოთ ქუთაისის ოპოზიციის ახლანდელი სისუსტე.

გ. წერეთელი.



სხვა-და-სხვა ამბავი.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ დრამატიული საზოგადოების ანგარიში პირველი ოქტომბრიდან 1898 წ. პირველ მარტამდე 1899 წ. წარმოადგენს შემდეგ ციფრებს: შემოსავალი ყოფილა 8750 მ. 97 კაპ. ამაში ქართული სპექტაკლებისაგან შემოსულა 7319 მ. 67 კაპ. ორი საღამოს სომხებისთვის დათმობისაგან 320 მ., გასული წლის დარჩენილი 800 მ., ხოლო დანარჩენი სხვა-და-სხვა წვრილი წყაროებიდან. ამავე ხნის განმავლობაში გასავალი ყოფილა 8606 მ. 41 კოპ. აქედან დახარჯულა: არტისტების ჯამაგირი—2673 მ. 20 კ. ბენეფიციანტები—1294 მ. 94 კაპ. თეატრის ქირა—2241 მ. დროებით მოწვეული არტისტების ჯილდოთ 841 მ. 70 კაპ. აფიშები და განცხადებები—243 მ. 75 კაპ. გარდერობი—162 მ. 30 კ. ავათმყოფ არტისტს ავალოვისას—200 მ. და სხვა უფრო წვრილი ხარჯები. ამ ნაირათ შემოსავალი აღემატება გასავალს 149 მ. 56 კაპეიკით. ხოლო თუ გასული წლიდან დარჩენილ 800 მ. გამოვრიცხავთ, გამოვა, რომ წლევანდელ სეზონს მოუცია მხოლოთ 650 მ. 46 კაპ. დეფიციტი. ასე პატარა დეფიციტი, მგონი, არასოდეს არ ჰქონებია ქართულ თეატრს. აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ ის, რომ „საზოგადოებას“ თავისი წევრები მეტისმეტ გულგრილათ ეპყრობიან; ამ ხნის განმავლობაში მხოლოთ ერთათ ერთ წევრს შემოუტანია თავის საწევრო გადასახადი.

—

დიდმარხვის მეხუთე კვირაში სახაზინო თეატრში კნ. ნ. ლ. ჩოლოყაშვილის თანხმობით სცენის მოყვარეთა დახმარებით გაიმართება ქართულ-რუსული წარმოდგენა ქართული დრამატიული საზოგადოების სასარგებლოთ.

—

თფილისის სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება დანიშნულია 21 ამთვისათვის, რომელზედაც აირჩევენ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს, მდივანს და რჩევის წევრებს.

—

აგრანომს ფირალოვს, მთავრობის მინდობილობით, შეუმუშავებია პროექტი იმისა, თუ რანაირათ შეიძლება ჩვენი ქვეყნის შინა მრეწველობის განვითარება. ეს პროექტი წარუდგენია მიწათ-მოქმედების სამინისტროს განსახილველათ.

—

ოზურგეთში განუზრახავთ დააარსონ ადგილობრივი დედათა სასწავლებლის და გურიის სხვა სასწავლებლის შეუძლო მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოება. წესდების პროექტი უკვე შეუმუშავებიათ და წარუდგენიათ უმაღლესი მთავრობისთვის დასამტკიცებლათ.

—

რუსთა გადმომსახლებელ საზოგადოებას განუზრახავს შეიძინოს თიონეთის მაზრაში მდებარე თ. ჩოლოყაშვილის მამული, რომელიც სახელმწიფო ბანკს დარჩა ვალებში.

—

მეგრელიის ერთი სოფლის (მაელას) მცხოვრებთ მთავარ-მართებელთან უჩივლიათ, იმაზე მეტს გადასახადებს გვართმევენ, რაც კანონით დადებულია. ასეთი მეტ-მეტის გადახდევინება ძალიან ხშირია სოფლებში და კარგი იქნება თვითონ მცხოვრებლები განაცხადებდენ ამას სადაც ჯერ არს.

—

ცხინვალის სოფლის საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ეპატიოს იმაზე დარჩენილი გადასახადი, სულ 5,513 მ. და 18 კაპ.

—

ᲩᲕᲔᲜ მივიღეთ შემდეგი ქართული წიგნები: 1) „ბენია, ქართველთა მეფის ხუმარა“ ზ. ჭიჭინაძისა, გამოცემა ალ. ბაქრაძისა. წიგნში მოთავსებულია ბენიათა მრავალი სასაცილო ამბები, შეიცავს 48 გვერდს და ღირს ორ შაურათ. 2) „ქართველ კათოლიკეთა შესახებ“ პ.

იზაშვილისა, გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. წიგნში აღწერილია ახალგაზრდობის ქართველი კათოლიკეების ვინაობა და ჩამოთვლობა. ავტორი ამტკიცებს რომ ისინი ქართველებია, სოდო წირვა-ლოცვა კი სომხურათ აქვთო. წიგნი შეიცავს 18 გვ. და ღირს ორ შაურათ; 3) „კათოლიკენი საქართველოში“ ლ. ისარლოვისა, გამ. ზ. ჭიჭინაძისა. აქაც იგივე აზრია გატარებული, რაც იზაშვილის წიგნში. შეიცავს 36 გვ. და ღირს ორ შაურათ. ამ ორი უკანასკნელი წიგნაკების ავტორები კათოლიკენი არიან.

„კვალის“ კორესპონდენციები.

ს. ოფ. ასკანა. (გურია) — კიდევ ასკანა! გამოგვაყრეთ ამ ასკანის ქებით! ვიცით, რომ ეს თქვენი ასკანა კარგათ მოწყობილი სოფელია მისი ინტელიგენტების წყალობით; ვიცით, რომ მას აქვს ორკლასიანი სკოლა, აქვს ბანკი და ამ დაწესებულების საქმეც კარგათ მიდის მათი მეთაურებისაგანო, - იტყვის მკითხველი, მარა იქონიე მოთმინება, ჩემო მკითხველო. ხშირათ, მართლა რომ, ქებათა-ქებას კაი გვარიანი ზარალი მოაქვს, ნაქები ვინმე მედიდურდება, მართლა რომ მე ეყოფილავარ ბურჯი ამა ქვეყნისაო, და, თუ მთელი ქვეყნის არა, ამ პატარა ასკანის მაინცო და მაშ, ჩამოდექით თქვენ „არა ბურჯებო“, გზა დამიცალეთ, მერწმუნეთ მე ყოველგან და ყველაფერში — ვინაიდგან მე ვარ „ნაქები“ გაზეთებსა შინაო. დარწმუნებით არ შეგვიძლია ვთქვათ — ამ ქებათა-ქების ბრალია, რომ ასკანის „მეთაურთა“ თვითნებობას, მედიდურობას და „მე ვარ რაც ვარის“ ძახილს საზღვარი არ აქვს, თუ სხვა რამის, მარა ეს კი ცხადია, რომ საქმენი ასკანისანი მიწეწილ-მოწეწილია.

ასკანის ორ-კლასიანი სკოლის მასწავლებლებს ბანკი? არც ბანკის საქმეა სანატრელი. აქაც თავისებური განკარგულებებია, სკოლის „ნაჩალნიკი“ ბანკის ერთი ნაჩალნიკთაგანია. ბანკის ნაჩალნიკებს ერთმანეთის დაჯილდოების საღერღელი აშლიათ და აჯილდოებენ ერთმანეთს ბანკის ფულებით, ვითომ და საზოგადოება გვაჯილდოებსო. გამოაქვს ერთ ნაჩალნიკთაგანს ბანკიდან ფული, ყიდულობს ლამპას, აწერს ზედ „მანათობელო ლამპარო, გვინათე კვალადო“ და აძლევს მეორეს. ამ მეორეს თავის მხრივ კიდევ გამოაქვს ბანკიდან ფული, ყიდულობს ხმალს და წარწერით „სასიქადულო ხმალო, გვიკაფე გზა ეკლიანიო“ აძლევს ლამპის მჩუქებელს. 31 იანვარს ბანკის საქმეზე კრება ჰქონდათ. კრების თავმჯდომარე თურმე ერთ მანდილოსანს ემდურის და სადაც ის მანდილოსანი იქნება, იქ თავმჯდომარე ვერ ძლებს თურმე. თავმჯდომარემ გახსნა კრება, მარა დახვეთ უბედურებას: აკი შემოვიდა კრების დარბაზში თავმჯდომარისაგან ათვალწუნებული მანდილოსანი! თავმჯდომარე დგება და აცხადებს: მე თავს ვანებებ თავმჯდომარეობას ამ შემთხვევაში და კრება გადამიდვია 23 თებერვლისთვის; თუ კი გსურთ, აი ეს მანდილოსანი (აჩვენებს მის მომდურავ მანდილოსანზე) დაამრძანეთ ჩემ მაგიერათ თავმჯდომარეთო. კრებამ მანდილოსანი ვერ დაამრძანა თავმჯდომარეთ და რადგან თავმჯდომარეს იმ დღეს თავმჯდომარეობა არ სურდა — კრება დაიშალა. აი, ამას ეწოდება საზოგადოების აბუჩათ აგდება. საზოგადოებას იწვევენ და ბოლოს უცხადებენ: რა ექნათ! რადგან ესა და ეს მანდილოსანი არის აქ, მე თავმჯდომარეობა არ მსურსო. წესდების ძალით კი თავმჯდომარე შეუცვლელი უნდა იყოს. 23 თებერვალს საზოგადოება კვლავ შეიკრიბა, მარა არც მაშინ მოხდა კრება. მიზეზი? მიზეზი ისა, რომ იმ დღეს სკოლაში სწავლა იყო და კრებისათვის სკოლის დარბაზს არ ეცალა. ნუ თუ წინდა-წინ ვერ გამოიანგარიშეს, რომ 23 სწავლა იქნებოდა!.. მარა სადაც დაბალი ლობეა, იქ გადასვლაც ადვილია და რადგან ბანკის ნაჩალნიკებმა ბანკის წევრები დაბალ ლობეთ მიიმჩნიეს, იმას ჩადიან რაც უნდათ!..

ასკანელი.

ს. ჭიათურა. მას შემდეგ რაც ჭიათურაში ვიწრო ლიანდგიანი რკინის გზა გაიყვანეს, წვრილი შავი-ქვის მწარმოებელთაგან მრავალ ნაირი ამხანაგობა იქმნა დაარსებული, რომელთაგან დღეს მხოლოთ ერთათ ერთ „კავკასიის შავი-ქვის ამხანაგობა“-ს უდგია მრავალ-ტანჯული სული. თავდაპირველათ 92 წ. რამდენიმე პირს დაებადა აზრი საქციონერო საზოგადოების დაარსებისა, რომლებმაც ამ მიზნის მისალწევათ მიმართეს ქ. ქუთაისის მოწინავე პირებს და დახმარება თხოვეს; ისინიც სიამოვნებით მიეგებენ ამ წინადადებას, შეადგინეს კომისია, რომელშიაც მოჰყვენ; ბ-ნი გ. ზდანოვიჩი, კ. ლორთქიფანიძე, ალ. ნანეიშვილი, დ. ბაქრაძე, ხელთუფლიშვილი და სხვ. ახლათ დაარსებულ საქციონერო საზოგადოებას პირველათვე ბევრი თანამგრძნობელი გამოუჩნდა, კომისიამ ხელის მომწერთა შორის შეკრიბა საწევრო გადასახადი 1500 მანათამდე. ამას შემდეგ არ გაუელია დიდ ხანს, რომ კომისიის წევრების მოქმედებამ რალაც მიზეზის გამო ღრმა ძილით მიიძინა და ამით დაასრულა მან თავისი მოწოდება. დარჩა საზოგადოება კომისიის მიერ შედგენილი წესდების ამარა. ხარჯს გარდა დარჩენილ ორიოდე გროშის დაბრუნებაც

არავინ აღირსა პატრონებს, თუმცა ეს ბეჭდვითი სიტყვითაც არა ერთხელ მოითხოვეს. ამ რიგათ ზემოხსენებული მიზნით მოგროვილი ფული დღესაც გარბის „ერთი საზოგადო მოღვაწის ხელით“. მიუხედავათ ამ დაბრკოლებისა ხალხში ამხანაგობის დაარსების სურვილი იმდენათ ძლიერი იყო, რომ ზედიზედ ორი ამხანაგობა იქმნა დაარსებული. პირველი „კავშირი“ ⁄ მეორე „კავკასიის შავი-ქვის ამხანაგობა“. პირველს ბედმა (უკეთ რომ ვთქვათ მეთაურის უთაურობამ) ზარალში ჩაყურყუმელავება და სამუდამოთ განსვენება არგუნა წილათ. მეორე კი, როგორც ზევით მოგახსენეთ, ახლაც მიათრევს დროს, ვითომდა არსებობს, მარა ვაი ამგვარ არსებობას; დაარსდა თუ არა, მრავალი წევრი მიიზიდა თავისკენ (160-მდე). შემდეგ თავი მაგრათ ჩაიკოჭა პირობაში, ყელში მსხვილი თოკი წაიჭირა და კომისიონერების წინ დაიჩოქა. მას აქეთ ეს ამხანაგობა დიდ შრომას ეწეოდა, მისი გამგეობა გზავნიდა ყოველ წელს შავი-ქვით დატვირთულ გემს-გემზე. არწმუნებდა წევრებს საქმის ბრწყინვალეთ მსვლელობაში, იღებდა ავანსებს, იღებდა ქვას და სხვ. რა თქმა უნდა ამ ხნის განმავლობაში წევრებიც ერთგულათ ეზიდებოდენ ამხანაგობის საწყობზე პირველ ხარისხის ქვას მაზანდაზე ხან კაპეიკით და ხან $1/2$ კ. ნაკლებ, იმ იმედით, რომ წლის გასულს მოგება გეხვდება რამეო. გამგეობისაგან სიტყვიერათ დაიმედებული წევრები ანგარიშობდენ ქაღალდზე ათი ათას თუმნობით მოგებას. გავიდა ხანი, განხილეს ერთი წლის ნაღვაწი და კიდეც აეხადა ფარდა ბურუსით მოცულ საქმიანობას; დრო გამოშვებით გამოამზეურეს შემდეგი წლების ნამოქმედარი და აღმოჩნდა მხოლოთ ზარალი, მეტი არაფერი. ამ გარემოებამ თავის დროზე ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია წევრებთა შორის, ისინი თითო ოროლაობით გამოეცალენ ამხანაგობას, ასე რომ 160 წევრთა შორის დღეს ათი წევრიც არ დარჩენია ამხანაგობას და ეს ათი წევრიც სანახევროთ იმავე ამხანაგობის გამგეობას შეადგენს. ამ რიგათ ამხანაგობამ დალია სული, მხოლოთ სახელი მისი ჯერ ⁄თლათ არ გამქრალა და ამ ათიოდე თავდადებული წევრების მეოხებით ის ფორმალურათ არსებობს, როგორც „ნაშთი ძველის დიდებისა“. მარტში თუ აპრილში ხსენებული ამხანაგობის ყველა წევრები აპირებენ უკანასკნელათ კრების გამართვას, რათა ორში ერთი დაადგინონ. ან შეიძლონ განახლება და უკეთეს ნიადაგზე მისი დაყენება; ან არა და მოახდინონ ლიკვიდაცია. აი, ამ ამხანაგობაზე ამბობს ბ-ნი ხაბულიანი კვალის მე 9 ე ნომერში: „რამდენიმე წლის წინეთ აქ შედგა ერთი ამხანაგობა რომლის მიზანი იყო პირდაპირ საზღვარ გარეთ უკომისიონეროთ ქვის გაგზავნაო“. შემდეგ განაგრძობს: „ის დღესაც არსებობს და მოღვაწეობსო“. ოღონდ-კი რომ არსებობს! რას ეძახის ბ. ხაბულიანი ამხანაგობის მოღვაწეობას, მართალი გითხრათ, ვერ გაგვიგია! თუ წევრების შეძენა და შემდეგ მათი გატყავება აქვს სახეში, მაშინ ის მართალია. რაც შეეხება „პირდაპირ უკომისიონეროთ“ ქვის გაგზავნას ესეც სიმართლეს მოკლებულია. კომისიონერი ერთის მაგივრათ ხსენებულ ამხანაგობას ორი ჰყავდა და ჰყავს დღესაც, რომლებმაც ის მიიყვანეს საფლავის კარამდე. მარტო ამ ორი ამხანაგობის დაარსებით და დაშლით არ დამთავრებულა შავი-ქვის წვრილი მწარმოებელთა კავშირები. მას შემდეგ დრო გამოშვებით არსდებოდა და თან საპნის ბუშტსავით ჰქრებოდა ხან ერთი და ხან მეორე ახალი ამხანაგობა; მარა მათ შორის ჩვენ თუ ზემოხსენებულ ორ ამხანაგობას მივაქციეთ მკითხველის ყურადღება, ეს უფრო იმიტომ, რომ მათ შორის მარტო ამ ორმა ამხანაგობამ გაბედა სხვისი იმედით (იგულისხმეთ კომისიონერები) საზღვარ გარეთის ბაზარზე თავისი საქონლის გატანა, რითაც ორივე დიდათ მოტყუედა. ამ გარემოებამ მეტათ გული გაუტეხა ხალხს, ბევრ მათგანს სამუდამოთ დაუკარგა ხალისი რაიმე ამხანაგობაში მონაწილეობის მიღების.

ამ ბოლო დროს „კავშირის“ ნანგრევზე აღმოცენდა ამავე სახელწოდების ამხანაგობა, შემდგარი ოთხი ქართველი მწარმოებლისაგან. დაარსდა აგრეთვე ბერძენ ექსპორტერთა ამხანაგობა ამ ფირმით: ევგერინოს შვილები და კომპ. ჯერ ჯერობით მათ მოქმედებაზე კარგის მეტი არა ითქმისრა. წარსული წელი შესანიშნავი იყო მადანთა ადგილების გაყიდვით. ამის პირველი მაგალითი ნ. ღოღობერიძემ მოგვცა, რომელსაც მიბაძეს სხვებმაც. საზოგადოთ აქ ემჩნევა მსხვილი მწარმოებლების გაბატონება; ამას ზედ ერთვის მემამულების მიდრეკილება თავისი მადნების ადრე და მალე გაყიდვისა. ამ გარემოებამ აქ დაბადა რამდენიმე „შუამავალი“, რომელთაც ხელობათ გაიხადეს სხვისი ადგილების შეკრება ⁄ შემდეგ ვინმე კაპიტალისტისათვის მიყიდვა. ამ მიზნით არა ერთი და ორი დათრევს „საბუთებით“ გატვინილ უბეს, საქმის ჩქარა დასამთავრებლათ. თუ ბადეს მოხვდა და ვისმეს მიჰყიდეს მათაც „ზორბათ“ ერგებათ გასამრჯელო, თუ არა და რას წააგებენ, რაც არა ჰქონიათრა. ტარიფის დაკლებამ ცოტა არ იყოს გამოაცოცხლა შავი-ქვის მიძინებული წარმოება. ადგილობრივი მაზანდა ოდნავ შეათბაშა, (ფასი $5^1/_2$ იდან 6 კაპ-მდე ავიდა) ამის და მ-ხედვით მუშა-ჩალეადრებსაც მოემატა ქირა. შავი-ქვის მზადება წელს შარშანდელზე გაცილებით მეტია.

გერასიმე ბერიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—

დაბა სამტრედია. ჩვენი ცხოვრების ერთი ახალ-მოდის ნიმუში სამტრედია გახლავს, ის ერთიანათ რკინის გზის ნაყოფია. რასაკვირველია, იმ ადგილს სადაც დღეს სამტრედია არის წინეთაც სამტრედია ერქვა, მაგრამ კაცმა რომ თქვას დიდი განსხვავება არის მაშინდელ და ახლანდელ სახელს შუა. მაშინ სამტრედიას ეძახოდენ იმისათვის, რომ ეს ადგილი შეადგენდა მტრედების საბუდარს, სადაც მონადირეები (უმეტესათ მკვიდრნი თავადები) დილიდან საღამომდე ყარაულობდენ ხის ძირში მტრედის მოსაკვლელათ, აქედან წარმოდგა სახელი „სამტრედია“ ანუ „სამტრედე“. ახლა კი ეს „სამტრედე“ უგანათლებულეს დაბათ გადაიქცა. რკინის გზის გაყვანისა თანავე აქ თავი იჩინა აღებ-მიცემობამ; მკვიდრთ ადვილათ შეეძლოთ ჩქარი მიმოსვლის წყალობით მოეძებნათ ბაზარი თავისი ნავაჭრებისათვის და აგრეთვე მოეტანათ საქონელი სხვა მხრიდან თავის დუქანში სავაჭროთ. რასაკვირველია რამდენიმე სქელ ჯიბა ვაჭ-ბატონებმა მაშინვე დაიწყეს ვაჭრობა, გააშენეს დუქნები, მაგრამ იმათ მოძრაობას პირველ-ხანებში დიდათ უშლიდა ხელს მახლობელ სოფლების გზების უვარგისობა, რითაც სოფლელთა დაბაში ჩასვლა შეფერხებული იყო. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ბაზარი მახლობელ სოფლებისათვის შეადგენს უპირველეს საგანს თავისი ნაშრომის ჩასატანათ და ამისათვის მახლობელ სოფლების მცხოვრებლები შეუდგენ გზების გაუმჯობესობას, და მით მისცეს სამტრედიის მოვაჭრეების საშუალება მომგებიანი ვაჭრობისა. ვაჭრობამ კიდევ უფრო იმატა. ამოძრავდა მახლობელი სოფელი, ყველამ თავისი ნაწარმოები აქ ჩამოიტანა გასასაღებლათ. სიმინდი, პირუტყვი, ბამბა, ხილეულობა, აგრეთვე შეშაც და სხ. ერთი სიტყვით ყველაფერ მახლობელ სოფლების ნაწარმოებს ბაზარი ჰქონდა სამტრედიაში. სამტრედიამ თუმცა-ღა გამოაჭყიტა თვალი, მაგრამ მას კიდევ დიდხანს ბრძოლას უწევდა უძველესი ქალაქი ორპირი, ხალხი უფრო ორპირში იყო ვაჭრობას მიჩვეული და იქით —მიდიოდა. ამას გარდა ორპირელ მოვაჭრეებს ხელს უწყობდა „დიდი შარა“, კარგი გზის საშუალებით მუშტარს უფრო აღვილათ უჯდებოდა ორპირში წასვლა და იქ ვაჭრობა. მაგრამ დახე უბედურებას, ორპირლებს ბედი უკუღმა დაუტრიალდათ; სამტრედიამ კი ცოტა-ცოტათ იზარდა, იბარტყა და ბოლოს ფრთები შეისხა და დიდი კონკურენცია გაუწია ორპირს. ბუნებამაც სამტრედიელების სასიხარულოთ უბედური რისხვა მიაყენა ორპირლებს; წაართვა ის საბაზრო ადგილები, რომლებზედაც იყო გაშენებული ურიების საავაჭრო კარვები, და საავაჭრო მოედანი რიონის უფსკრულის ძირათ გაპადა. ახლა კი იძულებულნი გახდენ ორპირლები შეერთებოდენ სამტრედიის მოვაჭრეთა გუნდს, და მათ წინ მოეხარაო თავი, მეტი რა გზა ჰქონდათ. ამ მეორე საავაჭრო ადგილის მოსაპოვებლათ, რასაკვირველია, ცოტა არ დაეხარჯებოდათ; თავისი დუქნის და საავაჭრო საქონლის ჩამოტანა ასე ადვილი როდი იყო. აი, ამ შემთხვევითაც ისარგებლა სამტრედიამ, და დიდი ნაბიჯი წადგა წინ მატერიალურათ. 1889 წლიდან აქ თუმცაღა არსებობდა პარასკეობა, მაგრამ ორპირის დანგრევამდის ვერაფერ კარგ დონეზე ვერ იყო დაყენებული ვაჭრობა.

ამნაირათ, აქ გაძლიერდა აღებ-მიცემობა და ამან, რასაკვირველია, გაამრავლა ჩარჩ-ბაკაკებიც, რომლებისაგანაც ორპირი წმინდა იყო. გასულ 1898 წელს სამტრედიაში იქაური მოვაჭრეების მეოხებით შემოძვრენ აბრეშუმის თესლის მოვაჭრე ბაკაკები, რომლებმაც გაფუჭებული თესლის გასაღებით დიდი ზარალი მოუტანეს მახლობელ სოფლებს. თვითონ სამტრედიელი ვაჭრებიც ხვირს არ აყრიან სოფლელთ. განსაკუთრებით თავგასულებია მეპურეები. გარდა ამისა, როგორც მოგახსენეთ პარასკეობა ხომ იციან და იციან, აქ ამ დღეს შეხვდებით ყოველ ნაირ სოფლის ნაწარმოებს, და საკვირველი ის არის რომ რაც უნდა ჩაიტანო ეჭველათ გაჰყიდი. მაგრამ ეს ხდება სხვანაირი თილისმობით, აქ არიან ამ დღისთვის მომზადებული დალალები, რომლებსაც თავის ხელობათ სოფლელთა მოტყუება და სამტრედიელთა შეწევა გაუხდიათ. ამათი მეოხებით, სოფლის კაცი ჩალის ფასათ ჰყიდის თავის ნაშრომს, ხოლო ვაჭრის საქონელს კი მამასისხლათ ყიდულობს. ისიც უნდა შევნიშნოთ რომ სადაც ურიების კარავი არის იმის მახლობლათ რანაირი სითამამით არის გახურებული არშიყობა. მოარშიყეებათ ისევ იქაური მოვაჭრენი არიან და აგრეთვე მოხელეებიც, უმეტესათ კი თერძები და მეჯღანეები. პარასკეობით აქ ჩამოაქვთ სოფლიდან შალეულება: საჩოხე, წინდები, ბაშლუყები და სხ. აქვე ხვდებიან პატიოსან მშრომელთ ზემოხსენებული მაწანწალები და უშკერის სიტყვით ლანძღვენ მათ.

გამყიდავი უმეტესათ ახალგაზდა ქალები არიან და რომ თავი დაიფარონ ლანძღვისაგან, თათრის ქალებსავით ჩადრ ახვეულნი გამოდიან. აი, ამნაირი დამოკიდებულებაა მოქალაქეთა და სოფლელთა შორის.

გ. ილორელი.

—

P. S. „კვალის“ მე-7 ნომერში დაიბეჭდა ჩვენი კორესპოდენცია „ილორი“ (სამურზაყანო) უნდა იყოს „ილორი (სენაკის მაზრა)“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—

ს. აკანა, (ოზურგეთის მაზრა) ამ ცოტა ხანში აქ ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა გაორკლასიანდა (ბ. ლევიაკის მეთოდის შემოღებით), სამრეველო სკოლა გაიხსნა და სახალხო სამკითხველო დაარსდა. აქ, ამ უგზო-უკლო სოფელში, თუ არ „მოდას“ და წამხედურობას, სხვას რას შეეძლო ერთიერთ მათგანის შეყენა? ს. აკანა უგზოობისგამო მიუვალია. მისი არსებობა ისევ ჩვენ აკანლებმა ვიცით და კიდევ ორიოდ მეზობელ სოფლებმა; დანარჩენი კი უცხოეთის ამბებს უფრო მოგიყვება, ვინემ ამ ჩვენი აკანისას. მართალია სკოლა გაეორკლასიან-გაეუმჯობესეთ და სამკითხველოც დაეარსეთ, მარა მარტო ამაში არაა ჩვენი შველა, ჩვენ არა ვვაქვს გზა აკანაში მისასვლელი და თუ ის არ გაეეუმჯობესეს, რათ გვინდა რამე. ამ უგზო-უკელობის წყალობაა, რომ შეძლებული აკანელი, ტოვებს აკანას და სხვა სოფელში ესახლება, სადაც რიგიანი გზებია, ან დაბა ქალაქებს მახლობლათ. ამ გვარი გადასახლება არ გამოუწვევია ცხოვრების პირობებს, არამედ გამოიწვია გზის უქონლობამ. ამ გადასახლებულთა ხვედრი სახელმწიფო ბეგარა აწვება კისერზე დანარჩენ აკანლებს და ისეც გაჭირვებულ მდგომარეობას სულ უჭირვებს, ბერანი გზა აკანლებს წინეთაც არ გვქონებია, მარა არც დიდათ ესაჭიროებდით მასში, დღეს ახალი მოთხოვნილებები და საქმეები გაკეთდა, რის დასაკმაყოფილებლათ აქეთიქეთ წასვლა-წამოსვლაა საჭირო. იმედია, ეისიც რიგია, ამს მიაქცევს ყურადღებას და მოახდენს განკარგულებას გზის გასაკეთებლათ, და აკანლებს არსებობის საშუალებას მისცემს. უამისოთ კი ვერც სკოლა გეშველია რამეს და ვერც სამკითხველო.

გერონტი ტუსკა.

კვირიდან კვირამდე

ახალგაზრდა საეკლესიო — მეტაბინრნიეს! — „შეგუანი ჯგი“ — ჩვენებური. დონკიხოტები.

ითიოეულ ჩვენგანს, ცალ-ცალკე კიდევ არა უშავსრა, ჩვენი-თავის მინც რამე გვესმის და სხვასაც ადგილათ გავაგებინებთ რა გვინდა და რა არა. მარა როგორც კი ერ�d შეეიყრებით — ჩვენი მტრისას, სრულიად ეიმნეეთ და ერთი მეორისა კი არა, აღარც ჩვენი თავისა გაგვეგება რამე. და ეს განსაკუთრებით მაშინ, როცა სარჩევნო ყუთებთან ეართ გამოკრეფილი. რა ახირებულ საქმეებს არ ჩაგვადენიან ის დალოკეილი კენჭები, რა საოცარ აზრებს არ წამოგვაპარტალებიებს ეს ჯანდაბა გამეეტ-გათეორება. აი, მაგ. ეის არ გაგონია ის, რომ თ. ნ. თავდგირიძე გურიის თავად-აზნაურობის (!) სახელით საყვედურს უცხადებს შორაპნის თავად-აზნაურობას, რატომ ერთი აირჩიეთ და მეორე არა! ერთი მითხარით, რომელი გურიის თავად-აზნაურმა მიანდო ეს ამ ახირებულ მოსაყვედურეს? ან და ნუთუ ის ორმოცი თავად-აზნაური, რომელიც ქუთაისში ჩამოსულა, მთელი მაზრის თავად-აზნაურია. და ან რა არის აქ სასაყვედურო? თუ გურულებს ნება აქვთ, ეინც უნდა აირჩიონ და ამაზე არაეინ საყვედურს არ უცხადებს, რატომ შორაპნელებს არ აქვთ ასეთივე უფლება? საყვედური ერთი მაზრისა მეორე მაზრისადმი, ერთი მხარის მეორე მხარისადმი, ერთი ქვეყნის მეორე ქვეყნისადმი — ეს სწორეთ, რომ ახალი ამბავია ჩვენ საარჩევნო მატიანეში. თუ ასე წაეიდა საქმე, სასაყვედურო ბეერი გაგვიჩნდება და გა-



გამოიყენეთ, გამოიყენეთ!

იმართება ჩვენ პატარა პროვინციებშორის ერთი მიწოლია მოწოლია. და, აი, ნაყოფი წარმომადგენელობისა!

* *
*

მარა მეორე და კიდევ უფრო ახირებული ნაყოფი ის არის, რომ არჩევნებს ძლიეს 300-მდე თაეად-აზნაური დასწრებია; და, აი, ამათ აირჩიეს 105 წარმომადგენელი, ე. ი. დამსწრეთა ერთი მესამედი. სამზე ერთი წარმომადგენელი — ეს ერთობ მეტის-მეტი სიმდიდრეა! ამის შესახებ გურიის აზნაურობა, როგორც გეწერენ, წინააღმდეგობასაც აცხადებს. ჩვენთვის არაფერი შეუტყობინებიათო, გაზეთებს ყველა არ კითხულობს, და ასე საჩუმათოთ მოახდინეს არჩევნებიო. ვინ იყო ამ „საჩუმათო“ ამბების ამწყობი — ეს არავინ იცის, იციან მხოლოთ ის, რომ ზოგი ცნობილი პირი თავის მაზრაში არ იქმნა ცნობილ პირათ აღსარებული, ხოლო იქ სადაც არ იცნობენ — ცნობილ მოღვაწეთ გამოიყვანეს. მაგ. თ. კიტა აბაშიძე ზუგდიდს გაუთეთრებია. ამაზე უშორესი კუთხე იმერეთში აღარ არის და, აი, სწორეთ იქ უშოეია იმასაც თეთრი კენჭები. ალბათ ძალიან გაჭირვებია, როგორც ზუგდიდელებს კანდიდატების მონახვა, ისე თ. კ. აბაშიძეს მეკენჭეთა მიმხრობა. და მართლაც, 28 ზუგდიდელთ 17 კაცი უნდა აერჩია და ამათ შორის წარმომადგენელობის მაძიებელნი ყველა არ იქნებოდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ყოველ დაძახებაზე ზუგდიდიდან ქუთაისში გამოცხადება. მეორე მხრით, თ. კ. აბაშიძე თავის მაზრას (შორაპანს) გაუშვებია ⁄ ამასთანავე ის ქუთაისის ხშირი სტუმარიც არის. სწორეთ ასარჩევი კაცი ყოფილა ⁄ ის არის. ეს ორი გაჭირვებული ერთმანეთს მიშველებიან, ერთს დიდათ საჭირო კანდიდატი შეუძენია ⁄ მეორეს დიდათ სანატრელი წარმომადგენელობა. რასაკვირველია, ასეთი სხვის ეზოში ჩახტომა, სხვა მაზრის წარმომადგენელობა წესდებით აკრძალულია (იხ. § 79), მარა ამას ვინ დაგიდევს. მეც ამირჩიესო — აი, რაშია საქმე.

* *
*

ბედნიერია ის, ვინც ამას იტყვის, მარა რაღა ქმნას იმან, ვინც იძულებულია თქვას: მე კი გამაშვესო! და მერე იცით ამ გაშვებას რანაირათ დაუბნევია ბევრი „ჭკვიანი კაცი“? თურმე ამათ სულ კენჭი აგონდებათ და ადამიანის ღირსება-ნაკლულეანებას მხოლოთ „კენჭობიას“ სასწორით ზომვენ. აი, მაგ. „დიდათ ჭკვიანი“ მაიაშვილი. ის ერთ ჩვენ თანამშრომელს ეკითხება: ვინ ხარ შენ, რა კაცი ხარ? მართალია ზოგი შენი ნაწერი წამიკითხავს, აქედან შენი საზოგადო მიმართულებაც გამიგია, მარა არც ერთი ეს არ კმარა, სანამდი არ მეტყვი: კალისტრატეს ათეთრებ, თუ აშვებო! გამოდის, რომ „კალისტრატობია“ ყოფილა ერთათ ერთი უტყუარი საზომი, ერთათ ერთი აუცილებელი მიმართულება, ერთათ ერთი საჭირო მოძღვრება და ვაი იმის ბრალი, ვინც ამას ანგარიშს არ უწევს, მის წინააღმდეგ კალამს არ აწრიპინებს ან და მის სასარგებლოთ პურმარილს არ ეწევა. შეიძლება არ დაიჯეროთ ეს საარაკო ამბავი? წაიკითხეთ „ახალი მიმოხილვის“ თერთმეტი ამ თვის ნომერი და დარწმუნდებით. მაშ ამიერიდან ვიცოდეთ, რომ ქუთათურ „ჭკვიან კაცთა“ მხედველობა „კალისტრატიზმით“ იფარგლება და სხვა ყოველივე ამაოებაა.

* *
*

მარა ესენი, რაც უნდა იყოს, ნამდვილ არსებას მაინც ებრძვიან და, ამ ნერვებ-აშლილობის დროს, ესეც კარგია. ხოლო, რა რჯულის უნდა იყოს ის, ვინც რაღაც ჭორებს იგონებს, თხზავს და მერე ამ თავისსავე წარმოდგენას თვითონვე ებრძვის. და სწორეთ დღეს ჩვენში ასეთი დონკიხოტები მრავლდებიან. ესენი ნამდვილ, ისპანიელ დონკიხოტისაგან იმით განირჩევიან, რომ იმას, რასაც ეს უკანასკნელი წრფელი გულით ჩადიოდა, მისი ჩვენებური მიმბაძავნი შურიანობით და ჭორიკანაობით შვრებიან. ეიღაცამ რაღაც სისულელეები ქუჩაში მითხრაო, ბრიყვული აზრები დაბახანაში გავიგონეო, მოდი ერთი ამათ „მარქსისტები“ ეუწოდო და მწერლობის საშუალებით ჯავრი ამოვიყაროვო... აი, როგორ არცხვენს სტამბას ერთი ასეთი დონკიხოტი: ჩვენებური წერილ-ფეხა მარქსისტები „გამოსულან და მეცნიერების სახელით გაიძახიან და უარს ყოფენ (სად? როდის? ვინ?) ისეთ „წმიდათა წმიდას“ როგორიც არის ეროვნული გრძნობა, ეროვნული ინტერესების დაცვა“... და სულ ასეთი „დანოსებით“ არის გადაჭრელებული გაზეთის 15 სვეტი! („ივ.“ № 53) ასე მითხრეს, ასე გავიგონე, ასე შემედავენ — აი, ამ დონკიხოტის საბუთები. ასეთი ჭორებით უმასპინძლდება ამ ხანათ ჭორის ორგანო „ივერია“ თავის მკითხველებს, ასეთი გავლენა მ-ეცა დღეს დაბახანის მწერლებს. მარა ერთი მითხარით, რომელი იყო ისეთი მოწინააღმდეგე, რომ „ივერიას“ მისთვის სამშობლოს მოღალატეობა არ დაეწამებიოს? მაშ ნურას გავიკვირვებთ, ის თავის ხელობას ასრულებს და ასრულებიებს სხვებსაც, ის იბრძვის, რითაც შეუძლია და აბრძოლებს სხვებსაც; და რადგანაც სხვა საბუთი არა აქვსრა, ჭორიკანაობითაც იოლათ მიდის...

* * *

ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ, ᲩᲔᲛᲝ ᲛᲣᲖᲘᲙᲐ,
ᲣᲙᲜ ᲓᲐᲡᲕᲔᲓᲐ,
ᲙᲘᲐᲠᲝᲗ ᲐᲡᲔ, ᲘᲒᲝᲜᲐᲠᲝ, ᲔᲠᲗᲘ
ᲒᲣᲠᲥᲡ ᲜᲐᲒᲘ,
ᲐᲣ ᲒᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ, ᲒᲣᲚᲘᲡ ᲢᲝᲚᲝ,
ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲡᲙᲕᲔᲓ,
ᲪᲮᲝᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲚᲝᲖᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲗ
ᲒᲕᲬᲕᲔᲓᲡ ᲡᲔᲓᲔᲚᲘᲡ ᲜᲘᲐᲒᲘ,

ᲒᲐᲒᲡᲬᲘᲚᲝᲗ ᲘᲥᲘᲗ ᲡᲘᲗᲮᲪ ᲒᲣᲚᲛᲐ ᲬᲐᲒᲘᲢᲣᲣᲜᲐ,
ᲛᲫᲙᲘᲜᲕᲐᲠᲔ ᲢᲚᲔᲚᲐᲛ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲫᲙᲘᲜᲕᲐᲠᲔ ᲢᲚᲔᲚᲡ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲠᲔᲡ,
ᲕᲬᲔᲓᲐᲕ ᲒᲖᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲠᲣᲑᲔᲚᲛᲐ ᲨᲐᲕᲗᲐ ᲬᲐᲒᲠᲫᲒᲜᲐ,
ᲛᲘᲜᲪ ᲙᲘᲐᲠᲝᲗ, ᲙᲘᲓᲠᲔ ᲖᲕᲘᲠᲗᲘ ᲣᲛᲡᲣᲠᲣᲚᲡ ᲩᲐᲒᲐᲕᲥᲪᲔᲡ.
ᲩᲕᲔᲜ ᲡᲝᲛ ᲒᲕᲘᲣᲙᲐᲠᲓᲐ ᲘᲒᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲫᲙᲘᲜᲕᲐᲠᲔ ᲡᲐᲡᲘᲗ,
ᲗᲣᲛᲪ ᲡᲘᲛᲗᲐ ᲣᲚᲘᲠᲔᲛᲛ ᲡᲘᲕᲓᲘᲡ ᲩᲜᲒᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐ ᲗᲚᲡᲘᲗ,
ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲚ ᲨᲔᲒᲐᲒᲠᲗᲝ ᲒᲐᲒᲐᲛᲬᲐᲠᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲒᲕᲜᲔᲡᲐᲛᲐ,
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲕᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲒᲘ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲕᲘ ᲕᲔᲒᲚᲐᲮᲘᲗ!
ᲩᲣ! ᲡᲐᲓᲦᲐᲪ ᲠᲩᲔᲜᲐᲛ ᲣᲚᲛᲝᲠᲔᲚᲛᲐ ᲓᲘᲔᲚᲦᲠᲔᲜᲐ,
ᲛᲘᲓᲘᲡ ᲑᲝᲠᲩᲘᲚᲘ, ᲒᲕᲐᲣᲚᲝᲗ ᲣᲕᲜ ᲐᲜᲓᲠᲔᲛᲘ,
ᲐᲭᲐ, ᲛᲔᲢᲐᲠᲕᲐᲚᲛᲐ ᲐᲥ ᲗᲕᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ ᲐᲛᲝᲐᲑᲠᲣᲜᲐ,
ᲐᲛᲝᲗ ᲗᲕᲚᲔᲑᲡ ᲐᲗᲕᲗᲣᲠᲔᲑᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲘ.
ᲐᲒᲔᲠ ᲘᲥ ᲙᲘᲓᲘᲕ, ᲛᲗᲘᲡ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲚᲖᲔ, ᲡᲮᲘᲒᲛᲐ ᲝᲗᲛᲘᲛᲐ
ᲨᲔᲘᲗᲮᲐᲛᲐᲨᲐ, ᲓᲣᲠᲯᲮᲐ ᲪᲘᲐᲒᲡ ᲡᲐᲓᲐᲛᲘ ᲡᲢᲣᲠᲠᲪᲜᲐ,
ᲓᲐ ᲐᲥ ᲠᲝᲛ ᲒᲣᲚᲛᲐ ᲪᲠᲔᲛᲚᲘᲗ ᲓᲐᲠᲓᲘ ᲨᲔᲛᲝᲘᲬᲘᲛᲐ,
ᲘᲥᲕᲔ ᲑᲜᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲣᲚᲛᲬᲣᲠᲕᲚᲘ ᲒᲐᲘᲡᲛᲐ ᲙᲝᲪᲜᲐ!
ᲩᲝ, ᲒᲣᲚᲘᲡ ᲢᲝᲚᲝ, ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲪᲮᲝᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲔᲚᲘ,
ᲨᲘᲠᲐᲗ ᲣᲕᲐᲕᲘᲚᲨᲘ ᲘᲡᲐᲠᲘ ᲐᲠᲬᲧᲝᲡ ᲨᲣᲐᲛ-ᲙᲑᲘᲚᲘ ᲒᲕᲔᲚᲘ.

Ი. ᲔᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ.

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲘᲡᲘᲡ“ 11 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲐ Ბ. ᲛᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲠᲘᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲙᲐᲜᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲒᲔ ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲕᲢᲝᲠᲘ, ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲗ ᲐᲠ ᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ, ᲠᲐᲡ ᲕᲬᲔᲠᲓᲘᲗ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ, ᲐᲜ ᲓᲐ ᲗᲙᲘᲗᲮᲔ ᲛᲐᲡᲖᲔ. ᲔᲡ ᲤᲐᲠᲓᲐᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲓᲐᲣᲛᲐᲚᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲐᲚᲐᲒᲡ ᲬᲐᲛᲝᲣᲕᲔᲜᲔᲑᲘᲐ ᲣᲫᲒᲘᲚᲝ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲝᲠᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲠᲔᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲡᲣᲠᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲨᲘ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲔᲭᲕᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲠᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲖᲜᲔᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲛ „ᲓᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ“ ᲬᲔᲡᲡ ᲙᲘᲓᲔᲕᲔᲪ ᲐᲡᲣᲑᲣᲗᲔᲑᲡ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ — „ᲛᲔ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ Ბ. ᲯᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ“ („Я не знаю, кто такой г. Жорданіасъ“) ᲐᲠ ᲪᲝᲓᲜᲐ — ᲐᲠ ᲪᲝᲓᲕᲐᲡᲐ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ, ᲛᲐᲠᲗᲐ ᲐᲛ ᲐᲠᲐᲪᲝᲓᲜᲘᲗ ᲣᲧᲝᲤᲝᲩᲝᲑᲐ ᲗᲣ ᲓᲘᲠᲡᲔᲑᲐ ᲘᲣᲚ, ᲐᲛᲐᲠ ᲒᲕᲔᲒᲝᲜᲐ. ᲛᲔᲪ ᲨᲔᲛᲔᲫᲚᲝ ᲛᲗᲥᲕᲐ, ᲐᲠ ᲕᲘᲪᲜᲝᲑ Ბ. ᲛᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ-ᲛᲗᲥᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲔ ᲔᲠᲗᲛᲜᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲨᲔᲒᲕᲐᲠᲐ. ᲔᲡ ᲩᲥᲐᲠᲘᲪ ᲘᲧᲝᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲬᲣᲜᲐᲠᲘᲪ. ᲑᲝᲚᲝ ᲗᲣ ᲛᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲜᲐᲜ ᲑᲐᲡᲘ ᲡᲣᲠᲡ, ᲛᲒᲝᲜᲘ, ᲛᲝᲙᲚᲔᲡ, ᲗᲣ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲪᲜᲝᲑᲡ, ᲒᲐᲒᲕᲘᲪᲜᲝᲡ, ᲘᲡᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲘᲣᲠᲗᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲚᲔ ᲯᲔᲠ ᲘᲡ ᲒᲐᲒᲕᲘᲪᲜᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲒᲕᲔᲬᲠᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲡᲣᲚ ᲡᲐᲛᲘ ᲠᲝᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲪ ᲛᲚᲘᲐᲡ ᲛᲝᲒᲒᲔᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲡᲐᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ ᲐᲠᲪᲔᲠᲗ ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲔᲡ — ᲛᲐᲨ ᲥᲠᲗᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲡᲠᲘᲗ, ᲠᲐᲡ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲘᲒᲘ ᲓᲐ ᲐᲜ ᲠᲘᲡ ᲛᲝᲚᲓᲕᲐᲬᲣᲚᲐ? ᲛᲐᲨ ᲕᲘᲜ ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲣᲧᲝᲤᲝᲩᲝᲑᲘᲗ ᲐᲚᲡᲐᲕᲡᲔ ᲛᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ? ᲠᲐ ᲠᲯᲣᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡᲐᲐ ᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲘᲡᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲘᲓᲣᲠᲝᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲓᲐᲒᲕᲩᲘᲡᲐᲕᲘᲡ? ᲘᲛᲔᲓᲘᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲐᲒᲕᲘᲮᲡᲜᲘᲡ. — ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ, Ბ. ᲛᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲔᲚᲘᲡ ᲙᲘᲓᲝᲗᲘ ᲒᲕᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ: ᲕᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲡᲠᲔ ᲡᲐᲠ, ᲙᲐᲚᲘᲡᲢᲠᲐᲢᲔᲡᲘ, ᲗᲣ ᲝᲠᲗᲝᲞᲖᲘᲪᲘᲘᲡᲝ! ᲩᲕᲔᲜ ᲠᲝᲛ Ბ. ᲛᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲘᲗ ᲙᲐᲛᲐᲣᲗᲝᲑᲓᲔᲗ, ᲐᲠ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲪᲔᲛᲓᲘᲗ, ᲛᲐᲠᲗ ᲐᲮᲚᲐ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲕᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲣᲜᲐᲡᲠᲝᲑᲘᲗ (ᲫᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲣᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲨᲘ) ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲝᲒᲕᲐᲡᲬᲠᲔᲑᲗ: ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ, ᲛᲓᲓᲚᲝᲑᲐ ᲓᲛᲔᲠᲗᲡ, ᲗᲥᲕᲔᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲚᲘᲡᲢᲠᲐᲢᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲩᲠᲝᲚᲘᲚᲐ, ᲓᲐ ᲕᲘᲜᲪ ᲕᲘᲠᲩᲔᲚᲡ ᲘᲬᲣᲜᲔᲑᲡ — ᲔᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲝᲠᲔᲡ ᲘᲬᲝᲜᲔᲑᲡ, ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲣᲠᲥᲘᲡᲐᲛᲘᲡ ᲣᲠᲘᲡᲘᲣᲠᲝᲗᲘᲡ ᲡᲘᲓᲣᲡᲬᲘᲠᲘᲡ ᲕᲐᲢᲘᲙᲐᲜᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲡᲬᲠᲐᲕᲔᲑᲡ. „ᲐᲠ ᲘᲗᲘᲥᲠᲝᲗ, ᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲝ, ᲛᲔ ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲬᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲙᲐᲢᲐᲠᲔᲑ, ᲞᲠᲝᲢᲔᲥᲪᲘᲝᲜᲘᲖᲛᲡ ᲙᲘᲛᲡᲠᲝᲑᲝᲓᲔ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝᲜᲘᲖᲛᲡ ᲙᲔᲑᲠᲫᲝᲓᲔ, ᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲡ ᲐᲚᲐᲒᲡ „ᲒᲝᲠᲝᲓᲝᲒᲝᲜᲘᲡ“ ᲐᲠ ᲙᲣᲡᲮᲝᲓᲔ“ — ᲗᲥᲕᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲛᲜᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲛᲐ. ᲗᲥᲙᲔᲜ ᲙᲘ, Ბ. ᲛᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲝ, ᲛᲘᲡ „ᲐᲓᲔᲙᲢᲝᲑᲡ“ ᲩᲣᲛᲝᲗᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲔᲡ ᲙᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲒᲕᲠᲙᲕᲘᲗ. ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲛᲑᲝᲑᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲕᲘᲛᲣᲨᲠᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲗᲝᲞᲖᲘᲪᲘᲐᲛ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲣᲠᲝᲑᲘᲗ, ᲜᲐᲣᲩᲐᲗ ᲐᲘᲒᲓᲝ „ᲑᲠᲑᲝ“, Ე. Ი. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲚᲝᲗ ᲓᲐ ᲛᲡᲔᲡᲮᲔᲑᲔᲚᲝᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲡᲘ-ᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲡᲣᲤᲐᲜᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲝᲠᲬᲕᲐᲡ ᲨᲔᲣᲪᲓᲐ. ᲡᲐᲓ ᲓᲐ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲜᲕᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲣᲛᲪᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲙᲒᲔᲪᲡ, ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲡᲣᲞᲠᲔᲖᲘᲡ ᲨᲔᲕᲬᲠᲝᲑᲡ? ᲐᲘ, ᲐᲥ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲓᲐ Ბ. ᲛᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲑᲜᲗᲖᲔ ᲜᲣ ᲐᲒᲓᲔᲑᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲔᲓᲐᲕᲗ, ᲐᲥ ᲓᲐᲞᲐᲠᲐᲯᲘᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲬᲔᲡᲖᲔ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲔᲢᲝᲓᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲐ-ᲐᲜᲢᲘᲞᲐᲗᲘᲐᲖᲔ. ᲜᲐᲗᲕᲠᲐ ᲗᲣ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ, ᲛᲘᲜᲐᲢᲠᲐᲐ Ბ. ᲛᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲝᲛᲝᲑᲐ, ᲑᲜᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ, ᲝᲠᲗᲝᲞᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲮ. ᲓᲐ ᲡᲮ. ᲓᲐ ᲗᲣ ᲔᲡ ᲕᲘᲡᲛᲔ ᲐᲜᲣᲒᲔᲨᲔᲑᲡ — ᲓᲔᲔ, Ბ. ᲛᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲗᲕᲘ ᲘᲜᲣᲒᲔᲨᲝᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲘᲗ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲠ ᲘᲠᲒᲕᲔᲕᲐ, ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲐᲠ ᲓᲒᲔᲑᲐ, ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲐᲠ ᲘᲒᲔᲑᲐ. Ბ. ᲛᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲣᲠᲩᲔᲕᲗ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲛᲝᲐᲪᲠᲘᲑᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲫᲐᲚ-ᲚᲝᲜᲔ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲢᲐᲥᲢᲘᲙᲐ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ. ᲡᲐᲜᲐᲛᲓᲘᲡ ᲔᲡ ᲐᲡᲔ ᲐᲠ

იქნება—მანამდის მას მხოლოთ ერთი „ნატვრა“ დაურჩება ხელში, სოლო ნატვრის თვალი კი სხვებს.[1])

ნ. ჟ.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ.

(„კრებული“ № 1. 99 წ.)

აკაკის „კრებული“ ჯერ სტამბის კარებს არ გამოცილებოდა, რომ ზოგიერთმა გაზეთმა გვაუწყა: შიგ ბევრი საყურადღებო სტატიებიაო. ამ-ტომ მოუთმენლათ მოველოდი კრებულის მიღებას და აჰა, — ჩემი მოლოდინიც ამისრულდა; საყურადღებო სტატიები წავიკითხე. მაგრამ მე მაინც ვერ მოვისვენე: წავიკითხე თუ არა, სურვილი დამებადა, ჩემი შთაბეჭდილება გავუზიარო ვისმე; ახლობელი არავინ მყავს და გადავწყვიტე ისევ შენ მოგმართო, მკითხველო! „უბრალო საუბარ“-ში აკაკი ძალიან ბევრს გვპირდება: ცხოვრების ყოველდღიურ მოვლენას, მის ავკარგს აღნიშნავთ ხოლმე ჩვენს კრებულში, მოსაწონს ყველას მოვუწონებთ, დასაგმობსა და დასაძრახზე ყველას ვუკიჟინებთ, მიუხედავათ მტერ-მოყვარისაო. აბა ამას რაღა ჯობია! ჩემი მოკლე აზრით ძველი ტემებზე ახალი ლექსების თხზვას ისევ ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურ მოვლენათა აღნიშვნა გაცილებით უფრო სასარგებლოა მწერლისათვისაც და მკითხველისათვისაც. „პალეოგრაფიული მინუშების გამო“-ის ავტორი, ბ. მოსე ჯანაშვილი სამეცნიერო კითხვას არჩევს: ვინ და როდის მოიგონა ქართული ანბანი? სამეცნიერო კითხვის გადასაწყვეტათ მეტი საბუთებია საჭირო, ვიდრე ასეთი მტკიცება: „ბა რა დასაჯერებელია ის აზრი, რომ ვითომ ქართული ანბანი შემოეღოთ მეხუთე საუკუნეში ქრ. შ. და ისიც იმისთანა კაცის დახმარებით, რომელმაც ქართული ენა არ იცოდაო“.

არაგვისპირელს თავის ეტიუდში „სისულელეა“ გამოჰყავს სულით ავათმყოფი ადამიანი, რომელსაც ახალი წლის მოლოდინში ბუხრის გუგუნის ზეგავლენით გალუცინაციები ემართება. მას ეხატება თვალწინ საყვარელი ელეონორა, რომელიც, მგონი, მის გვერდშიეე ცხოვრებს. ელეონორა პირდაპირ უცხადებს: შენ არ მიყვარხარ, სხვა მიყვარსო, მალხაზი ჩაცივებია: არა, მე გიყვარვარო, დასცინის სიყვარულს და, ქალი თუ ცოლათ არ მიჰყვება ყოველ ყმაწვილს, რომელსაც კი მისი შეყვარება მოესურვება, ამას მალხაზი ყოჩაობას უწოდებს. საკვირველია ეს მალხაზი; მაგრამ მას მეტი ახირებულობაც მიეტეევა, რადგანაც სნეულია, ხოლო საყურადღებო ის არის, თვით ავტორს სნეულათ მიაჩნია თუ არა მალხაზი? მალხაზის აზრი მისივე აზრია თუ არა? ეტიუდმა ჩემზედ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ, მგონია, ავტორს მალხაზი საღ ადამიანათ მიაჩნია და მის აზრებსაც ეთანხმება; თუ ასეა, ავტორი შემცდარია. ნუ თუ მხოლოთ ყოჩაობაა ყმაწვილი ქალის სიყვარული მხოლოთ იმიტომ, რომ მას არ შეუძლია, ყველა მოიწონოს? ნუ თუ ავტორის აზრით ქალმა ბაწარი უნდა მოიბას ყელზე და გაჰყვეს ყოველ გადამთელს, რომელიც მას სიყვარულს გამოუცხადებს? ქალიც ადამიანია და არა ბზით გატენილი გუდა; მასაც შეუძლია სიყვარული და, თუ ის ყოველ გამვლელ გამომვლელს უკან არ მისდევს, არამედ არჩევს, ამით ის დედალ ცხვარს კი არ ემზგავსება, თავის ადამიანურ ღირსებას ამტკიცებს. მართალია, მამაკაცები ხშირათ ყოჩს ემზგავსებიან ქალის წინაშე, მაგრამ ნუ თუ უმრავლესობა ასეთი პირებისაგან შედგება?

„ბუტიაობის“ კითხვამ ბევრი მაცინა, უთუოთ შენც იცინებდი, მკითხველო! ის ვოდევილია და სიცილის მეტი არც მოეთხოვება. ვოდევილის მიზანი მხოლოთ სიცილია და ამით განირჩევა ის კომედიისაგან, რომელიც სასაცილოს გარდა ადამიანის ისეთ ნაკლულევანებასაც ხატავს, რომელიც მაყურებელს გულს უმღვრევს. „ბუტიაობა“ კარგ ვოდევილათ უნდა ჩაითვალოს და მიკვირს, ქართულ სცენაზე მაყურებელს ხშირათ ისეთი სულელური ვოდევილებით უმასპინძლდებიან, რომელიც მხოლოთ გაგაფურთხებიებს; ასეთ ვოდევილებს კი, როგორც „ბუტიაობა“-ა, სცენას არ აკარებენ!

„კრიტიკული შენიშვნები“ ბ. ხომლელისა და „ერთ ერთი მთავარი საზრუნავი“ ბ. ე-ისა ძალიან წაკაკავან ერთი მეორეს: ორივეში უმთავრესი ყურადღება ლამაზ ფრაზებსა აქვს მიქცეული. პირველის ავტორმა, აქაო და პოეზიას ვარჩევო, ჩააწკაპა ლამაზ-ლამაზი სიტყვები და, მის სარჩევ პოეზიას შეჰფერის თუ არა ასეთი გარჩევა, ამისი ჯავრიც აღარა აქვს! ის უფრო თავისმა ენამ გაიტაცა. ამ კრიტიკისაც ველარაფერი გამიკია სწორეთ! ამ მოკლე ხანში განდეგილის ლექსები ორმა პირმა გაარჩია; ერთმა არ მოიწონა, მეორეს კი ისე მოეწონა, რომ ბავშვივით აჭყლოპინდა, რუსთაველსაც კი ახარა. ორივე

[1]) რადგანაც ბოლეშიკა ორ სხვა და-სხვა ენაზე მოუსერხებლათ მიგვაჩნია, ამიტომ კარგი იქნება ბ. მაიაშვილმა ქართველთ გამოთქვას ის რაც ქართველობას აინტერესებს, რასაგვირველია, თუ რამე სათქმელი აქვს, რისთვისაც ჩვენ, „ბკბლის“ ფურცლებს ვუთმობთ.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცდა: პირველი მით, რომ თავისი ნათქვამი ვერ დაასაბუთა; მეორემ ლამაზი სიტყვების გუდა უადგილოთ დაჩუტა და, სხვაგანაც რომ დაჭირდეს, რაღა ეშველება?! ხომლელი სანამ თავის „სუზდალურ“ კრიტიკას შეუდგებოდეს, გვიცხადებს: „ჩვენ კი პირადათ არ გვსურს ᲙᲐ არც ვაკადრებთ, არც ჩვენ თავს, არც პატივცემულ ავტორს, რომ ზოგიერთი ეაჭბატონივით „უმაწვილური მაღალ კილოიანობით“ მოვეპყრათ განდეგილს, ᲙᲐ აქვე აღვიარებთ, რომ ამისი ლექსთა "თაიგული... ერთს სასიამოვნო მოვლინებას შეადგენს და სხვ. (32 გვ.) ე. ი. ქების მეტი არც მას ეკადრება და არც ჩვენო. ქუთაისის ქალებმა ძლივს არ იპოვეს თავისი გემოვნების კრიტიკოსი?! მოდი და ნუ დაეწყდება გული: ამას წინეთ ქუთაისში ვიყავი და ერთი მსჯელობის დროს იქ დამსწრე დედა-ქალებმა ერთხმათ მაუწყეს: თუ „კვალმა“ კრიტიკის ბეჭდვას თავი არ დაანება, ხელში აღარ ავიღებთო, სხვისი ლანძღვა რა საკადრისია, ქებას და ტკბილ სიტყვას რა ჯობიაო. ახლა კი ხომლელმა საუკუნოთ მოიგო მათი გული: მისგან სიმართლეს ნურავინ ელით, როგორ ეკადრება! ის მხოლოთ აქებს, ვისაც წყალობის თვალით შეხედავს. ჯერ გვეფიცება, ქ-ნი განდეგილი გაცვეთილ ტემებს არ ეტანებაო, შემდეგ გვატყობიებს; „სიყვარული, სამშობლო და მისი ბუნება, კაცის გაუტანლობა და გულის მჭრელობა-კაეშანი“ მუდმივი ტემაა განდეგილის ლექსებისო, ხოლო ყველა ეს ტემა გაცვეთილი კი არა, მეტიც არის. ერთი მიბრძანეთ, რომელი მწერალს არ უგალობნია სიყვარულისათვის, სამშობლოსათვის, მერე ისიც ჩვენში? მაგრამ თურმე ნუ იტყვი: „განდეგილის აზრები და გულის ნადებნი მარტო და მხოლოთ ჩვენი ავტორისათვის არიან უძვირფასესნი“ (34 გვ.). ხომლელი ამას განდეგილის საქებრათ ამბობს, ის კი არ იცის, რომ ამგვარი აზრი პოეტის გრძნობათა და ფიქრთა შესახებ მისი ნიჭისა და მნიშვნელობის სრულიად უარყოფაა. თუ რომელიმე პოეტის აზრი და გრძნობანი მარტო მისთვის არის ძვირფასი, სხვისთვის არავისათვის, ამისთანა პოეტმა წერას თავი უნდა დაანებოს. ყოველ ადამიანს აქვს მხოლოთ თავისთვის ძვირფასი გრძნობები და აზრები, მაშ ყველა უნდა ვადიდოთ! პოეტი მითი განირჩევა უბრალო ადამიანისაგან, რომ ის ბევრსა ჭვავს, რომ მას ბევრთანა აქვს საერთო რამ, მისი გრძნობა და ფიქრი ამავე დროს სხვისიც არის. ისეთი აზრები ერთი და იგივე პოეტის შესახებ, როგორიც ხომლელმა გამოთქვა, ერთი მეორის უარმყოფელია. რომელია მართალი, რომელი შემცდარი? ამას ხომლელი არ დაგიდევსთ,—მისი ხელობა მხოლოთ ქებაა; ღმერთმა დაგვიფაროს როგორც ასეთი ქებისაგან, ისე ასეთი გინებისაგან.

შენი არ ვიცი და მე კი შევხვედრივარ ისეთ პირებს, მკითხველო, რომლებსაც ჰგონიათ, კაცობრიობის ისტორია ადამიანის ენაზე ტრიალებსო; ოღონდ კი კარგათ თქვი და მეტი არ უნდა, ასრულდებაო. სწორეთ ასეთი პირი მოგვაგონა „ერთ ერთი მთავარი საზრუნავის“ კითხვამ, ღმერთმაც კარგი მოგცეს, კარგი ენა იყოს: იკითხე და იტლაკე ენა სიამოვნებით! იმას რას დაეძებ ასრულდება თუ არა. ავტორიც უფრო ქართულის სილამაზეს გაუტაცნია და აზრის ცალიერ სიშვენიერეს, ის კი აღარ უფიქრნია, ასასრულებელია თუ არა მთლათ მისი აზრი. ან კიდეც რომ ასრულდეს, რამდენ შრომასაც მოითხოვს, იმდენს შეგვძენს რასმე თუ არა? დობჩინსკი და ბობჩინსკი ხლესტაკოვს ჩაციებოდენ: გინდა თუ არა ხელმწიფეს მოახსენე, ამადა ამ ქალაქში დობჩინსკი და ბობჩინსკი ცხოვრებენო. ამ წერილის ავტორიც ასე ჩადგის: ვაუწყოთ ევროპას, რომ ქვეყნის ამა და ამ ალაგას არის საქართველო, საცა ქართველები ცხოვრებენო. მერე რატომ უნდა ვაუწყოთ? იმიტომ რომ თურმე ევროპიელები ცნობის მოყვარენი ყოფილან და ჩვენი გაცნობა ნდომებიათ; ჩვენ კი უნდა შევადგინოთ ქართულ-ფრანგული, ქართულ-ინგლისური, ქართულ-გერმანული სახელმძღვანელოები და ლექსიკონები (sic), გადავთარგმნოთ ამ ენებზე ჩვენი საუკეთესო მწერლები, გავიჩინოთ ევროპაში ერთი გაზეთი და მთელი ევროპა ქართულის სწავლას შეუდგება! მერე?—მერე ის, რომ ერთ-ორ წელიწადში მთელი ევროპა ქართულ ენაზე იწყებს ლაპარაკს! ნეტაი მას, ვი აც ამხელა ოცნება აქვს, ჩვენ კი ვინ გვალირსებდა. ქართულის სწავლის სურვილი თუ ვისმე ებადება სამზღვარ გარეთ, ისიც თითო-ოროლა მეცნიერს; ისინი კიდეც სწავლობენ. ჩვენ შესახებ თუ ბევრი ტყუილია უცხო ენებზე დაწერილი, ეს, რასაკვირველია, სამწუხაროა. აი ამას რომ ჩვენც გაგვაცნობდეს ავტორი და უცხოელებსაც გაუსწორებდეს, ვისაც შეუძლია, ამის წინააღმდეგი ვის რა ექნება. საუკეთესო მაინც ის იქნება, რომ ჯერ ჩვენ გავიცნოთ ევროპა, ვისაც შრომის სურვილი აქვს და საშუალება, ჩვენ გადმოგვითარგმნოს და გაგვაცნოს ევროპის გონების საუკეთესო ნაწარმოები და მაშინ, მერწმუნეთ, ევროპაც გაგვიცნობს.

ვინმე მესხის „შვიდფერობა, ახალი წელი და ბედობა“ საყურადღებო წერილია, ხოლო რას ერ ჩოდა ავტორი აპოლონს, ჰერმესს და არესს, რომ ქალ ღმერთებათ გადააქცია?

ბ. ა. მაჩაბელის „სოფელი ქურთა და იმისი მიდამოებ“-ში ყოველიფერია, გარდა ხალხის ეკონომიური და გონებრივი მდგომარეობისა, რაც ყველაზე უფრო საყურადღებო იყო.

მოსკოვი. გი - ვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲞᲘᲠᲘᲛᲖᲔ

ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

ᲜᲐᲬᲘᲚᲘ I.

ᲑᲐᲢᲝᲜ-ᲧᲛᲝᲑᲘᲐ ᲓᲠᲝ.

X.

(გაგრძელება) *)

ᲡᲐᲚᲐᲛᲝ ᲮᲐᲜᲘᲐ. ᲠᲝᲓᲐᲛ ᲙᲕᲔᲡᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔ ᲓᲐᲚᲕᲠᲔᲛᲘᲚᲘ ᲗᲐᲠᲝᲓᲐᲜ ᲥᲝᲗᲐᲜᲡ ᲘᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲬᲧᲚᲘᲗ ᲠᲔᲪᲮᲐᲕᲡ, ᲮᲐᲜ ᲘᲤᲐᲮᲘᲡ: „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲩᲘᲜᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲐᲦᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲐᲘᲜᲓᲐ. ᲞᲔᲢᲠᲘᲔᲚᲐᲡ ᲛᲝᲡᲕᲔᲚᲐ ᲡᲘᲮᲛᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ. ᲓᲐᲒᲔᲚᲝᲪᲐ, ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ, ᲠᲐᲖᲔ ᲨᲔᲒᲒᲨᲣᲠᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲝᲠᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ! ᲐᲠ ᲕᲐᲧᲐᲕᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲘ, ᲓᲐᲩᲐᲒᲠᲣᲚᲘ, ᲗᲣ? ᲘᲡᲔ ᲓᲐᲕᲑᲔᲠᲓᲘ, ᲝᲠᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲐ, ᲮᲐᲜ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲧᲔᲜᲔᲑᲓᲐ, ᲮᲐᲜ ᲒᲖᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲜ ᲗᲐᲡᲔᲓᲐᲢᲔᲚᲘ, ᲫᲦᲘᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲠᲘᲕ-ᲮᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲦᲘᲠᲡᲐ ᲔᲠᲗᲘ—ᲜᲣᲙᲔᲨᲘ—ᲩᲔᲛᲘ ᲞᲔᲢᲠᲘᲔᲚᲐ, ᲕᲔᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔ ᲛᲘᲡ ᲒᲐᲩᲘᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ—ᲓᲐ ᲘᲡᲘᲪ ᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲘᲧᲔᲜᲐ. ᲡᲘᲪᲦᲚᲐ ᲒᲐᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐ... ᲠᲐᲡ ᲔᲠᲩᲝᲓᲐ, ᲘᲡ ᲓᲐᲚᲝᲪᲕᲘᲚᲘ! ᲠᲐ ᲨᲔᲨᲣᲠᲓᲐ ᲩᲔᲜᲘ? ᲮᲐᲑᲐᲖᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲠᲐ ᲧᲐᲔᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲧᲛᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲖᲔ ᲐᲠ ᲔᲮᲛᲐᲠᲐ ᲫᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲣᲓᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲓᲔᲔᲓᲔᲓ? ᲣᲛᲐᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲔᲗᲮᲝᲕᲐ? ᲐᲮᲚᲐ ᲠᲐ ᲒᲕᲔᲨᲕᲔᲚᲔᲑᲐ, ᲕᲘᲜ ᲒᲕᲘᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲑᲡ? ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲐᲦᲐᲠᲪ ᲙᲐ ᲓᲐᲛᲘᲑᲠᲣᲜᲓᲔᲡ ᲨᲘᲜ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲔᲢᲠᲘᲔᲚᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲭᲘᲠᲘᲛᲘ! ᲪᲮᲔᲜᲘ ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲥᲕᲘᲐᲜᲐᲡ ᲒᲐᲡᲐᲧᲘᲓᲐᲗ, ᲛᲝᲓᲐᲚᲝ, ᲛᲐᲠᲐ ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘ!

ᲐᲛ ᲬᲣᲬᲣᲜᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝ, ᲙᲐᲠᲖᲔ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲐ ᲤᲔᲮᲘ ᲒᲝᲒᲣᲪᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲩᲘᲗᲘᲡ ᲙᲐᲑᲐ ᲔᲪᲕᲐ, ᲞᲔᲢᲠᲘᲔᲚᲐᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚᲘ; ᲗᲔᲗᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲛᲘᲡ ᲨᲜᲝᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲣᲛᲐᲢᲔᲑᲓᲐ ᲔᲛᲩᲮ.

— ᲨᲕᲘᲚᲝ, ᲠᲐ ᲥᲕᲜᲘ? —ᲨᲔᲔᲙᲘᲗᲮᲐ ᲠᲝᲓᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲡ.—ᲪᲮᲔᲠᲔᲑᲘ ᲮᲝᲛ ᲓᲐᲐᲛᲬᲧᲕᲓᲘᲗ? ᲮᲑᲝᲛ ᲐᲠ ᲐᲘᲬᲧᲕᲘᲢᲝᲡ, ᲫᲠᲝᲮᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲬᲧᲝᲗᲡ.

— ᲫᲠᲝᲮᲐ ᲐᲒᲔᲠ ᲛᲝᲓᲘᲡ.—ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲘᲡᲛᲐ ᲫᲠᲝᲮᲘᲡ ᲑᲦᲐᲕᲘᲚᲘ.

— ᲐᲑᲐ, ᲨᲕᲘᲚᲝ, ᲐᲣᲨᲕᲘ ᲮᲑᲝ ᲓᲐ ᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲔᲬᲕᲔᲚᲘ. —ᲣᲗᲮᲠᲐ ᲒᲝᲒᲣᲪᲐᲡ ᲠᲝᲓᲐᲛᲛᲐ.

ᲮᲑᲝ ᲒᲐᲣᲡᲮᲚᲢᲐ ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲝᲒᲣᲪᲐᲡ ᲓᲐ ᲝᲗᲮᲛᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲐᲗ ᲛᲘᲠᲑᲝᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲡᲗᲐᲜ.

— ᲓᲔᲓᲐᲘᲐ, ᲕᲔᲦᲐᲠ ᲓᲔᲕᲘᲭᲘᲠᲔ. ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲘᲨᲐ. ᲠᲐᲕᲐᲠᲘ ᲫᲐᲚᲣᲛᲘᲐ, ᲛᲔ ᲛᲐᲒᲐᲡ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲛᲝᲕᲔᲠᲔᲕᲔ!—ᲛᲝᲓᲔᲓᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲒᲝᲒᲣᲪᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲗ ᲔᲐᲚᲔᲠᲡᲔᲑᲝᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲑᲝᲡ.—ᲘᲰ, ᲩᲔᲛᲝ ᲙᲝᲙᲘᲢᲐ, ᲠᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲝᲖᲕᲔᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲐᲡ ᲮᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲔᲛᲯᲝᲑᲘᲜᲔᲑᲐ ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ...

*) ᲘᲮ. „ᲙᲕᲐᲚᲘ“ № 9

ᲓᲔᲓᲐ, ᲛᲐᲒᲘ ᲛᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲒᲐᲠᲗᲕᲐ, ᲛᲐᲒᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲙᲝᲙᲘᲢᲔᲘᲐ, ᲩᲔᲛᲘ!

ᲮᲑᲝ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲣᲕᲐᲠᲓᲐ ᲫᲠᲝᲮᲐᲡ ᲯᲘᲥᲐᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲓᲘᲡ ᲒᲠᲔᲮᲘᲗ ᲓᲐᲣᲬᲧᲝ ᲚᲝᲛᲨᲜᲐ. ᲠᲝᲓᲐᲛᲛᲐ ᲨᲔᲣᲬᲧᲝ ᲮᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲪᲐ ᲮᲑᲝᲛ ᲫᲠᲝᲮᲐᲡ ᲛᲝᲣᲚᲑᲝ ᲫᲣᲫᲣᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲐᲬᲕᲔᲚᲐᲗ, ᲛᲔᲠᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ ᲒᲝᲒᲣᲪᲐᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲮᲑᲝᲖᲔ ᲛᲝᲛᲑᲛᲣᲚᲘ ᲑᲐᲬᲐᲠᲘ, ᲓᲐᲛᲘᲭᲘᲠᲔᲗ. ᲮᲑᲝ ᲓᲐ ᲒᲝᲒᲣᲪᲐ ᲨᲔᲔᲭᲘᲓᲔᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ, ᲮᲑᲝ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲯᲘᲥᲜᲘᲡᲙᲔᲜ ᲘᲬᲔᲓᲐ, ᲒᲝᲒᲣᲪᲐ ᲙᲘ ᲑᲐᲬᲠᲘᲗ ᲔᲖᲘᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲣᲨᲕᲔᲑᲓᲐ. ᲑᲝᲚᲚᲝᲡ ᲮᲑᲝ ᲛᲝᲘᲚᲐᲚᲐ ᲙᲕᲘᲜᲢᲠᲘᲡᲘᲗ, ᲓᲐᲓᲒᲐ ᲫᲠᲝᲮᲘᲡ ᲬᲘᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲡ ᲓᲐᲣᲬᲧᲝ ᲔᲜᲘᲗ ᲡᲚᲐᲥᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲐᲚᲔᲠᲡᲘᲗ ᲒᲐᲐᲧᲣᲩᲐ. ᲒᲝᲒᲣᲪᲐᲪ ᲛᲘᲮᲕᲓᲐ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲘᲧᲝ ᲮᲑᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲐᲚᲔᲠᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲣᲩᲚᲘᲥᲐ ᲔᲜᲐ: ᲠᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲭᲙᲣᲘᲐᲜᲘᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲙᲝᲙᲘᲢᲔᲘ, ᲛᲝᲔᲤᲔᲠᲔ. ᲫᲠᲝᲮᲐ, ᲛᲝᲔᲤᲔᲠᲔ ᲨᲔᲜ ᲙᲝᲙᲘᲢᲡ. ᲛᲐᲒᲘ ᲙᲐᲘ ᲭᲙᲣᲘᲐᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲔᲘᲖᲓᲔᲑᲐ, ᲙᲐᲘ ᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲙᲝᲙᲘᲢᲐ, ᲩᲔᲛᲘ!.. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲮᲑᲝ ᲣᲪᲑᲐᲗ ᲨᲔᲮᲢᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲜᲐᲕᲐᲠᲓᲐ... ᲐᲚᲑᲐᲗ ᲨᲔᲨᲣᲠᲓᲐ, ᲠᲫᲘᲡ ᲨᲮᲠᲘᲐᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲔᲡᲛᲐ ᲥᲝᲗᲐᲜᲨᲘ, ᲘᲤᲘᲥᲠᲐ, ᲡᲐᲖᲠᲓᲝᲡ ᲛᲐᲠᲗᲛᲔᲔᲜᲝ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲫᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲚᲝᲜᲔ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲒᲐᲘᲬᲘᲐ ᲯᲘᲥᲜᲘᲡᲙᲔᲜ, ᲣᲜᲓᲝᲓᲐ, ᲗᲐᲕᲘ ᲬᲐᲔᲠᲗᲛᲘᲐ ᲒᲝᲒᲣᲪᲐᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲣᲪᲐᲪ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲗ ᲓᲐᲣᲮᲔᲓᲐ.—ᲒᲐᲩᲔᲠᲓᲘ, ᲙᲝᲙᲘᲢᲐ, ᲒᲐᲩᲔᲠᲓᲘ!-ᲨᲔᲣᲧᲕᲘᲠᲐ ᲒᲝᲒᲣᲪᲐᲛ ᲓᲐ ᲑᲐᲬᲐᲠᲘ ᲛᲝᲭᲘᲛᲐ, ᲪᲝᲢᲐ ᲙᲘᲓᲔ ᲛᲝᲘᲪᲐᲓᲔ. ᲓᲔᲓᲐᲙᲝ ᲥᲝᲗᲐᲜᲡ ᲒᲐᲐᲕᲡᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲒᲐᲒᲘᲨᲕᲔᲑ, ᲙᲘᲓᲔ ᲓᲐᲩᲩᲔᲑᲐ, ᲩᲔᲛᲝ ᲙᲝᲙᲘᲢᲐ, ᲨᲔᲜᲘ ᲡᲐᲧᲝᲤᲘ.

ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲭᲘᲨᲙᲐᲠᲘ ᲐᲭᲠᲘᲐᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲨᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲑᲐᲙᲔᲨᲘ. ᲔᲠᲗᲘ ᲘᲧᲝ ᲨᲘᲣᲙᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘ, ᲛᲐᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲛᲝᲓᲔᲓᲔᲓᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲧᲛᲐ.

ᲠᲝᲓᲐᲛᲛᲐ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲐ ᲬᲔᲚᲔᲚᲐ, ᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲮᲔᲓᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘᲡ, ᲬᲐᲛᲝᲘᲙᲠᲘᲜᲐ: „ᲔᲡᲔᲜᲘ ᲙᲐᲠᲒ ᲐᲛᲑᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡ ᲛᲝᲘᲢᲐᲜᲓᲔᲜᲝ“. ᲘᲛᲐᲜ ᲡᲐᲰᲥᲐᲠᲝᲗ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲐ ᲨᲘᲜ ᲠᲫᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲥᲝᲗᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲓᲒᲐ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ. ᲒᲝᲒᲣᲪᲐᲛ ᲛᲘᲣᲨᲕᲐ ᲮᲑᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲢᲐᲪᲐ ᲫᲠᲝᲮᲘᲡ ᲯᲘᲥᲐᲜᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲬᲧᲝ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲛᲝᲙᲕᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲢᲘ ᲠᲫᲔ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲧᲝ. ᲒᲝᲒᲣᲪᲐ ᲘᲓᲒᲐ ᲫᲠᲝᲮᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲔᲚᲝᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲛᲝᲡᲣᲚᲔᲑᲡ.

— ᲒᲝᲒᲣᲪᲐ, ᲓᲔᲓᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲨᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ? —ᲰᲙᲘᲗᲮᲐ ᲨᲘᲣᲙᲐᲛ. ᲥᲐᲚᲛᲐ ᲗᲘᲗᲘ ᲒᲐᲣᲬᲧᲓᲘᲜᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲙᲔᲜ, ᲘᲥ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲡᲝ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲠᲝᲓᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲔᲐᲠᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲗ.

— ᲠᲝᲓᲐᲛ ᲐᲪᲝᲪᲮᲚᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ!—ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲐ ᲨᲘᲣᲙᲐ.

— ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲒᲐᲪᲝᲪᲮᲚᲝᲡ. — ᲓᲐᲣᲙᲠᲐ ᲛᲝᲬᲘᲬᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲘ ᲙᲔᲡᲐᲣᲠᲛᲐ.

— ᲞᲔᲢᲠᲘᲔᲚᲐ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲝᲡᲣᲚᲐ ᲐᲥ?

— ᲙᲘ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, ᲒᲐᲮᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲘᲐᲜᲐᲡ ᲬᲔᲕᲘᲓᲐ.

— ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲪᲣᲓᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲥᲜᲐ ᲘᲛ ᲙᲐᲪᲛᲐ —ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝ ᲨᲘᲣᲙᲐᲛ. —ᲑᲔᲦᲔᲚᲘ ᲒᲐᲒᲕᲘᲢᲔᲮᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲥᲪᲐ. ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲗ ᲒᲣᲚᲛᲝᲡᲣᲚᲘᲐ ᲘᲛᲐᲖᲔ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეჰ, ჩემი პეტრიელა ტყუილა არ იზამდა მაგისთანა ამბავს, რომ რამე აუტანელი უსამართლობა არ დაეტეხათ თავზე.

— რა ვქნათ, ჩემო დედა, გლეხები ვართ, რაც უნდა გვიბძანოს ბატონმა—უნდა დეევემორჩილოთ. ძალა ალმართს ხნავს, ხომ გაგიგონია.

— კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს, ჩემო შიუკა.— უპასუხა როდამმა გულნაკლულათ.—ცოტა გვადგია ბატონიდან შეწუხება, რომ კიდე ძალადობა არ იხმაროს ჩვენზე? როდის ყოფილა ჩვენი გვარი ხაბაზათ, იმ დალოცვილს რო უნებებია ჩემი პეტრიელას ხაბაზობა? უწინ მასე არ იყო. გლეხს რაც არ ემართა, მეტს ბატონიც ვერ მოთხოვდა, დებულება არ აძლევდა ამის ნებას. უწინ ასე არ იყო. უწინ დებულებას ვერავინ წაუვიდოდა. დღეს ზეცა და კაცი, ბატონი და მთავრობა—ყველა ჩვენ მოგვდგა. გლეხიკაცის გაჩენას სულ რომ არ გაჩენილიყო, ის ჯობდა.

შიუკა გააქვავა ამ სიტყვებმა; გულზე ნაღველი მოერია და ველარა თქვარა. ერთხანს იყო ასე დადუმებული. „რა სამართალია ახლა,—გაიელო მან გულში,—ამ უბედურს ამ ერთი ხბოიანი ძროხის მეტი არა ყავსრა, ესეც ბატონს მიჰყავს, იმ ბატონს, რომელსაც ჯოგი დაუდის საქონლისო!“—თუმცა ასე ფიქრობდა შიუკა, მაგრამ ბატონის ბძანება მაინც უნდა აესრულებინა. იმან გადახედა ბიჭს და უთხრა: „მოდი ამ ძროხას ბაწარი, წავიდეთ, გვაგვიანდება“.

— რას შვრები შიუკა? სად მიგყავს ძროხა? — შეჰყვირა გაფოცებით როდამ კვესაურმა.

— შენი შვილის ურჩობას დააბრალე, ჩემო როდამ, ეს ამბავი. იმას რომ ბატონი არ გეეჯავრებინა—შენ ამ ძროხას არავინ წაგართმევდა.

— უიმე, მიშველეთ, რას გვერჩით, ჩვენ უბედურებს, რა დაგვიშავებია, სამსახურის მეტი? რალათი უნდა ვირჩინოთ აწი თავი?—ატირდა კვესაური —წყალში თუ გადავარდებით, თვარა მეტი საშველი აღარ გვაქვს. ყველაზე უფრო შესაბრალებელი იყო გოგუცა, რომელმაც მოხვია ორივე ხელები ხბოს და საცოდავი ხმით ტიროდა: უიმე დედა, სად მიყავთ ჩემი კოკიტეი! აბა, მეც მომკალით, მეც ამასთან მომკალით! არა! არა! მე არავის დავანებებ ჩემ კოკიტეის!

ბიჭმა და შიუკამ გოგუცა მოაშორეს ხბოს და გაიყვანეს ძროხა და ხბო ეზოდან.

დედა შვილი საცოდავათ ატირდენ, შევიდენ სახლში, დასხდენ ლოგინზე და ნამდვილ ჭირისუფლებსავით მოთქვამდენ. რომ ვისმე შეეხედა, ასე იფიქრებდა, ვინმე შინაური მოკვდომიათო. კარგა რომ დაბინდდა, დედა-შვილი ისევ ლოგინზე ისხდენ და უნუკვეშოთ სლოკინობდენ. ამ დროს შემოვიდა პეტრიელა და, ცეცხლი რომ არ დახვდა გაჩაღებული, —ძალიან გაუკვირდა.

— რა ამბავია, რა დაგემართათ, რათ ტირით? ცეცხლი რატომ არ დაგინთიათ?

როდამმა ამოუშვა ხმამაღლა ტირილი და შეუცხადა პეტრიელას, შენი ნაყიდი ხბოიანი ძროხა ბატონმა წაგვართვა.

— ჩემი კოკიტეი წამართვეს, კოკიტეი წაიყვანეს, რა მეშველება დედა!.. რა დამემართა აგი!.. ჩემი კარგი კოკიტეი წამართვეს, კოკიტეი დამიკლეს... საწყალი ხმით ტიროდა გოგუცა.

ასეთმა ქვივილ-ხვივილმა თავზარი დასცა პეტრიელას. უმისოთაც გულმოსული იყო ბატონზე და ახლა კიდევ უფრო მწარე ნაღველი გადაენთხია იმის გულს. ერთხანს იდგა ასე ხმაგაკმენდილი და მერე წამოიძახა ბრაზჰორეულმა:—არაფერია, დედა, კიდე გიყიდი მაგისთანა ძროხას. გოგუცა, უკეთეს ხბოიან ძროხას მოგგვრი, ნუ ტირით. რომ გაიგონონ, ასე ეგონებათ, ვინმე მოკვდომიათო. გაჩუმდით, არა უშავსრა. პეტრიელა არ ვეყოფილვარ, თუ ჩემ ბატონს ეგ საქმე კარგ ფასათ არ დავუსვი!

როდამმა იცოდა პეტრიელას მესისხლე გული და შეეშინდა, კიდევ უბედურება არ ატეხოსო, გამოერკვა მწუხარებისგან და ახლა თვითონ დაუწყო პეტრიელას დამშვიდება: არა, შვილო, შენ ნუ, შენ აღარაფერი მოახდინო ცუდი, თუ არ გინდა, მამიშენის კერა უდროოთ გააცივო. რა ვუყოთ, ბატონი ძლიერია, ხან გაგვიწყრება, ხან დაგვიტკბება. ისევ ჯობია, კარგი გული აჩვენე, მორჩილათ იყავი, კიდე შეგირიგდება და თუ ერთგულათ მოაჩვენებ თავს, იმ ძროხის მაკიერას გადახდა კი არა, ერთი ორათ რომ გადაგიხადოს, ისიც არ გაუჭირდება. ნუ, გენაცვალე, ნუ იჯავრებ, ღმერთი მოწყალეა, გულში ნუ ჩაიგდებ ჯავრსო. ბევრი ამისთანები უთხრა როდამმა პეტრიას გულის მოსალბობათ, მაგრამ მისი შვილი არ იყო ისეთი მშვიდობიანი, რომ ასე ადვილათ დამცხრალიყო; მას გულში საშინელი შურის გრიგალი ტრიალებდა. ვისაც მისი სიფიცხე გამოეცადნა, ყველა მიხვდებოდა, რომ ის თავის ბატონს არ აპატიებდა ამისთანა შეურაცხყოფას, მაგრამ რადგან გულდახურული ბიჭი იყო და ტრაბახობა არ უყვარდა, არც ახლა ამოუღია ხმა; დედა მისიც სრული დარწმუნებული იყო, რომ მისმა სიტყვებმა მოალბეს შვილის გული და ცუდს აღარაფერს განიზრახავდა.

გოგუცამ ამ დროს ცეცხლი გააჩაღა კერაზე და კეცები შამოდგა მჭადის გამოსაცხობათ. პეტრიელა დაჯდა ლოგინზე და მისი შუბლი მწუხარების ღრუ-

ბელმა დაჩრდილა. როდამმა საკიდელი უყო რძეს და ჩადგა ქოთნით თბილ ლადარში, რომ მალე გაეჭრა და ახალი ყველი ამოეყვანა ეახშმისთვის.

გ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)

წერილი რედაქციის მიმართ.

რომ ახლანდელ დროში ქუჩის მწერლები გამრავლებულია, ეს ცხადია, მაგრამ რა ნიჩრი დიდსების უნდა იყოს ის გაზეთი, რომელიც უთმობს ადგილს თავის ფურცლებზე ამ მწერლებს და ჭეშმარიტ ისეთ კორესპონდენტებს, როგორიც არის სოხუმიდან გაგზავნილი წერილი, დასტამბული „ხერხოგორ. ვესტ.“ ოცდა ცხრამეტ ნომერში. ეს ახირებული მოამბე იხსენიებს სოხუმს თავის ძველი სახელი „დიოსკურიით“. ის თავის უმზეკავს წერილში მეგრელებს უწოდებს „Невѣжественные пришельцы“, აწერს მათ ბევრნაირ—თავის შეხედულებით—დამტირებელ თვისებებს. წარსულიდან ვიცით, რომ ჯერ ისევ მაშინ, როდესაც ეს ადგილი თათრის ხელქვეთ იყო, მეგრელებს ჭირდათ იქ მისვლა და ადგილ-მიცემობა დაწყებული, მხოლოთ დღეს—რაკი ეკონომიური კეთილი შეეძინა უმთავრეს კითხვათ თანამედროვე ცხოვრებაში, ამათ უფრო მაგრათ ჩაჭიდეს ამ საქმეს ხელი და კიდეც ნიადაგი მოიმაგრეს. აი, ამათ ჭეშტხავს ეს კიდეც ქუჩის მწერალი და ქართველობას უგულტურობას სწამებს. რა იქმა უნდა ეს კორესპონდენტი არ იყო დიდსი თიოქმის პასუხისა, მაგრამ სამწუხაროთ ისეთი კორესპონდენტების საშუალებით უკულმართი აზრი ვრცელდება საზოგადოებაშიც, განსაკუთრებით იქ სადაც ნაკლებათ ცნობენ სოხუმს და მის წარსულ ისტორიას, ამისთვის ჩვენ ზნეობრივ მოვალეობათ დავსახეთ ამის შესახებ ცმა ამოგვეღო.

სოჩის ქართველობის მონდობილობით

ა. ბეკათუა.

საქველ-მოქმედო საქმე

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ნება მომეცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა მოვახსენო. მზრუნველს ჩემ სამრევლოში არსებული საეკლესიო სკოლისას ქვრივს დერენად-მაიორის ზურაბ ჩოტუასას ნინო ფალავას ასულს, რომელმაც აღუთქვა აღნიშნულ სკოლას ყოველ წლობით ოცდა ათი მანეთი და იხდის კიდეც ეს ორი წელიწადია. ამასთან სკოლას შემოწირა სამი ჩარხი სურათებისთვის, ღირებული 8 მანეთათ.

მადლელი მესამე სამეფოს წმინდის გიორგის ეკლესიისა (სოხუმის ეპარქიის) ანტონ ქავთარაძე.

ბ ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ნება გვიბოძოთ უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ შემდეგ პირებს: კვკვის სკვაო გიმნაზიის მასწავლებელს ბ. პარეულ ადელ. გოთუას, რომელმაც თავისი ხარჯით დაუკვეთა ძიძითის სახალხო ბიბლიოთეკას გაზეთი „ეკვალი“ და საუმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ აგრეთვე: გ. ესტ. ლომაძეს და გ. ჭელიძეს, რომლებმაც შეიტანეს ფულათ: პირველმა სუთი მანეთი, ხოლო მეორემ ორი. სასურველია ამათ მაგალითს სხვებმაც მიჰბაძონ და ჩვენი ღარიბი ბიბლიოთეკისთვის თავისი წვლილი არ დაიშურონ.

გამგე ბიბლიოთეკისა: ვლად. ლომაძე.

წევრნი: ფ. ჭეიშვილი.

გ. ლაგვილავა.

„ᲙᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲐ.

ბ.ბ. გ. შარაშიძეს. თქვენი პასუხი რაადრეეა. საპასუხო ჩქარა გექნებათ, უკეთესი იქნება მეორე წერილსაც მოუცდიდეთ და პასუხს ერთათ გასცემდეთ. ბ. კ—ძეს: თქვენ „დოყლაპიებში“ ალარაფერი დარჩენილა გარდა სიტყვებისა. მ. ჯ—ლს: ეს „პასუხი“ წინანდელისაგან არაფრით განირჩევა, პსევდონიმის ფარდის ახდა წესი არ არის. ბ. ბარბალაძეს: თქვენ წერა შეგიძლიათ, მხოლოთ საჭიროა მეტი ფაქტები და ნაკლები სიტყვები. ამ კითხვის შესახებ მოგვაწოდეთ უფრო დაწვრილებითი ცნობები. მ. ლომიძეს: თქვენი წერილი ქართული გალობის შესახებ არ მიგვიღია.

„ᲙᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲓᲐ „ᲯᲔᲯᲘᲚᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ

იყიდება შემდეგი საკუთარი გამოტეშები:

თამარ დედოფლის სურათი 1 მ. 50 კ. (გასაგზ. 30 კ.)	
ალბომი „ბუნება სურათებში“ ყდ. 1 მ. 30 კ. (გასაგზ. 40 კ.)	
პატარა ლორდი	30 კ.
ჩვენი ძველი გმირები	30 კ.
თეთრი და ზანგი	15 კ.
სოლომონ მეფე	10 კ.
ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა	10 კ.

თამარ დედოფლის დიდი სურათი (ფერადი წამლებით) ღლეის იქით გაიყიდება „**ᲙᲕᲐᲚᲘᲡ**“ რედაქციაში 1 მ. 50 კ. (გასაგზავნი ფოსტის ხარჯი 30 კ.)

რედაქტორ-გამომტეშელი ან. თ.-წერეთელისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 13 Марта 1899 г. Тип. М. Д. Ротиніянца—სტამბა ბ. დ. როტინიანცისა Год. пр. д. № 41.